საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 70 (872) | ხუთშაბათი, 28 აპრილი, 1994 წელი | ფასი 5000 კუპონი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს

ბატონო პრეზიდენტო,

ღრმა მწუხარებით შევიტყვეთ ბატონი რიჩარდ ნიქსონის გარდაცვალების ამბავი, ადამიანისა, რომელიც ჩვენი საუკუნის შუა პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა იყო. ბატონმა ნიქსონმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ღრმა კონფრონტაციის პერიოდში ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა დაძაბულობის განმუხტვას და ახალი მსოფლიო მოწყობის საწინდარი შექმნა.

ამ მამაც პიროვნებას დიდი პოლიტიკა არასოდეს დაუტოვებია, მაშინაც კი, როდესაც თეთრი სახლის დატოვება მოუხდა. იგი ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და გლობალური პრობლემების მისეულ გადაჭრას გვთავაზობდა. არასოდეს დაგვავიწყდება მისი ვიზიტი საქართველოში, როდესაც ბატონი ნიქსონი საქართველოს ლიდერებს თავის პოლიტიკურ გამოცდილებას უზიარებდა.

ჩემი შეხვედრები ბატონ ნიქსონთან ყოველთვის ნაყოფიერი და სასარგებლო იყო — ჩვენ განვიხილავდით მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ პრობლემებს.

ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და ხალხის სახელით, ასევე ჩემგან პირადად, ნება მიბოძეთ, გავიზიარო თქვენი მწუხარება ექს-პრეზიდენტ ნიქსონის გარდაცვალების გამო. მისი სიკვდილი ისეთივე მამაცური და ამაყი იყო, როგორი ცხოვრებითაც იცხოვრა მან. მისი თაყვანისმცემლებისათვის იგი მუდამ დარჩება მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის მებრძოლად.

პატივისცემით,

ე. შევარდნაძე

ედუარდ შევარდნაძე ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში

27 აპრილს სახელმწიფოს მეთაური — პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, სადაც ჩანაწერი გააკეთა ბატონ რიჩარდ ნიქსონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გახსნილ სამძიმრის წიგნში.

შეხვედრას ესწრებოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

სურათზე: სამძიმრისათვის აშშ საელჩოში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

თავდაცვის მინისტრი შეხვდა სამინისტროს კოლექტივს

27 აპრილს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავდაცვის სამინისტროს კოლექტივს წარუდგინა თავდაცვის ახალი მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

შეხვედრაზე შედგა საქმიანი საუბარი ქართული ჯარის აღმშენებლობის პრობლემებზე; ხაზგასმით აღინიშნა იმ საგნობრივ თანადგომასა და მხარდაჭერის შესახებ, რასაც სახელმწიფოს მეთაური გრძნობს სამინისტროს კოლექტივის მხრიდან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კეთილი ტრადიციების გაძლიერება, რაც ყოველთვის იყო დამახასიათებელი თავდაცვის სამინისტროს კოლექტივისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ლევან ჯაფარიძის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ლევან ჯაფარიძე** საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

თამაზ კვაჭანტირაძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **თამაზ კვაჭანტირაძე** საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ალექსანდრე კავსაძის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ალექსანდრე კავსაძე** საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ჯამლეთ ბაბილაშვილის საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დაინიშნოს **ჯამლეთ ბაბილაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 26 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა 1994 წლის 22 აპრილს რესპუბლიკურ თათბირზე დასმული საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს წინადადებები დასავლეთ საქართველოს რეგიონებში დროებით დისლოცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ნაწილების გამოყვანასთან დაკავშირებით პოლიციის საქალაქო და რაიონული სამმართველოების შტატების გაზრდისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონში დისლოცირებული შინაგანი ჯარის ნაწილების პროდუქტებით მომარაგების შესახებ.

2. ნარკომანიასთან ბრძოლის სამთავრობო კომისიამ (ი. მენაღარიშვილი) სისტემატურად გააკონტროლოს „ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 21 აპრილის ბრძანებულების (130) შესრულების მიმდინარეობა.

3. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა (ი. გიორგაძე), საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) შეიმუშაონ და სახელმწიფოს მეთაურს წარმოუდგინონ ღონისძიებების გეგმა ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

4. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა (ი. გიორგაძე) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (შ. კვირაია) და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასთან (ჯ. ბაბილაშვილი) ერთად მიიღოს კონკრეტული ზომები ქვეყანაში ტერორიზმის ფაქტების აღსაკვეთად. 15 მაისისათვის მომახსენონ მომხდარი ტერორისტული ფაქტების გამოძიების მიმდინარეობა.

5. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე), საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა (ი. გიორგაძე), საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი) ერთი თვის ვადაში შეისწავლონ და წარმოადგინონ ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერების შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა სისტემატურად იზრუნონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთა შრომითი მოწყობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა (ი. გიორგაძე) ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას განუხრელად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, არ დაუშვან პიროვნების ღირსებისა და პატივის შემლახავი ქმედებანი, უზრუნველყონ მოქალაქეების უფლებების დაცვა.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 27 აპრილი, 1994 წელი.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები — საქართველოს

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის ხელმძღვანელობასთან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის მარტში ვაშინგტონში გამართული შეხვედრის შედეგად მიღებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკაში 1994 წლის მარტსა და აპრილში იმყოფებოდნენ ამ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა მისიები.

მისიათა საქმიანობის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციამაც უნდა შექმნას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სისტემური და სტრუქტურული რეფორმების დაჩქარებისა და მათი ხელშეწყობისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის მიერ საქართველოსათვის რეალური ეკონომიკური დახმარების გაწევის, მათ შორის, გრძელვადიანი კრედიტების მიცემის შესაძლებლობა.

საერთაშორისო (სავალუტო) ფონდისა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის რეკომენდაციათა რეალიზაციის მიზნით სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება: საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა უახლოეს სპეციალურ სხდომაზე განიხილოს და დაამტკიცოს საფინანსო სისტემის გაჯანსაღების, ინფლაციის ტემპის შენელების, სისტემური რეფორმების, წარმოების მოცულობის ვარდნის შეჩერების, კერძო სექტორის სტიმულირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს დაევალათ შესაბამისი სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობით, 1994 წლის 10 მაისამდე, მოამზადონ ინფლაციის მკვეთრი შემცირების პროგრამის პროექტი საკრედიტო ემისიის შემცირების, ფულის მიმოქცევის, საბანკო ნორმატივების, ეროვნული ბანკის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის, რეალური საკრედიტო საპროცენტო განაკვეთის დაწესების ღონისძიებათა გათვალისწინებით. ეს პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს არა უგვიანეს 20 მაისისა.

ზემოთ აღნიშნულმა სამინისტროებმა სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან ერთად 10 მაისამდე უნდა შეიმუშაონ წინადადებები პურზე, ასევე მოსახლეობის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიასა და გაზზე სუბსიდიების მკვეთრი შემცირების, თავისუფალ ფასებზე სწრაფად გადასვლის თაობაზე. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტსა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალათ შეიმუშაონ და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარუდგინონ დასამტკიცებლად იმ მაჩვენებელთა სისტემა, რომლითაც მოხდება სოციალურად ნაკლებდაცული მოსახლეობის იდენტიფიკაცია ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, აგრეთვე წინადადებები ამ კატეგორიის მოსახლეობის სრულფასოვანი აღწერის პროგრამის შესახებ.

სოციალურად ნაკლებად დაცული მოსახლეობისათვის პურის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, საქალაქო ტრანსპორტის, კომუნალური მომსახურების ფასებისა და ტარიფების ზრდით გაპირობებული დამატებითი ხარჯების კომპენსაციის ოდენობის, სტრუქტურისა და მიცემის წესის თაობაზე წინადადებებს შეიმუშავებენ შრომისა და სოციალური დაცვის, ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროები სხვა დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით.

ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ფინანსთა სამინისტრომ ეკონომიკის, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროებთან, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტთან, საგადასახადო ინსპექციასთან, ეროვნულ ბანკთან და საბაჟო დეპარტამენტთან ერთად, 1994 წლის 15 მაისამდე შეიმუშაოს წინადადებები დამატებით ღირებულებაზე გადასახადის, საბაჟო მოსაკრებლის გადასახადის საპროცენტო განაკვეთის, ბენზინზე აქციზების გაზრდის, საექსპორტო პროდუქციაზე 8-პროცენტიანი გადასახადის გაუქმების, სახელმწიფო მუშაკთა რიცხოვნების შემცირების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან საკლირინგო ვაჭრობის სისტემის თანდათანობით შეცვლის, უცხოური ვალუტის აუცილებელი მიყიდვის მოთხოვნის გაუქმების შესახებ რეკომენდაციათა შესრულების თანამიმდევრობის, ეტაპებისა და ვადების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა საფუძველზე 1994 წლის მეორე ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემადგენლობაში შეიტანოს სახელმწიფო სუბსიდიაზე მყოფ საწარმოთა ჩამონათვალი ამ საწარმოთა საერთო რაოდენობისა და სუბსიდიათა საერთო თანხის (შესადარ ფასებში) ყოველკვარტალურად შემცირების დავალებათა გათვალისწინებით, 1994 წლის ბოლომდე ფასების საბოლოოდ გათავისუფლების კვალობაზე, ამგვარი სუბსიდიის საბოლოოდ შეწყვეტის მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უნდა შეიტანოს სათანადო ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისულ პროგრამასა და 1994-1995 წლებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების პროგრამაში. ამ სამუშაოს შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები შესაბამის ინფორმაციას წარუდგენენ ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესითა და ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პერიოდულად განიხილავს ანტიკრიზისული პროგრამის ღონისძიებათა შესრულების შესახებ სამინისტროებისა და უწყებების, რეგიონების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს.

ბრძანებულებით გათვალისწინებული პროექტები და წინადადებები რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოს. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს თემურ ბასილიას.

ვაჟა ხაჭაპურიძე:

სამაჩაბლო იყო და იქნება საქართველო, სადაც ერთად იცხოვრებს ოსი და ქართველი!

აქტუალური ინტერვიუ

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო რწმუნებულად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად შიდა ქართლის რეგიონში დაინიშნა ბატონი ვაჟა ხაჭაპურიძე. დღეს გთავაზობთ მასთან საუბარს.

— ბატონო ვაჟა, თუ კადნიერებაში არ ჩამითვლით, ახეთი „არასტანდარტული" კითხვით დავიწყებ: რატომ მაინცა და მაინც თქვენზე შეჩერდა არჩევანი, როცა მიღებული იქნა გადაწყვეტილება ესოდენ გაფართოებულიყო შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის ფუნქციები და უფლებამოსილება?

— არა მარტო ფუნქციები და უფლებამოსილება, არამედ (და ეს უმთავრესია), პასუხისმგებლობაც მკვეთრად გაიზარდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეს სრულიად გამართლებულია. არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი მალე საქართველოს ქრონიკულ დაავადებად შეიძლება გადაიქცეს. დასამალი არ არის, რომ აფხაზეთში ომმა და ჩვენმა შიდაპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა თითქოს „მეორეხარისხოვან" პრობლემად აქცია ყოფილი სამხრეთ-ოსეთის მოვლენები. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კარგა ხანია იქ აშკარა ბრძოლები აღარ წარმოებს, სისხლი აღარ იღვრება და არც ლტოლვილთა ნაკადი მოედინება უწყვეტად. სინამდვილეში კი, ვითარება დღითიდღე რთულდებოდა და.... სამწუხაროდ, კვლავაც რთულდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იცვლება რეგიონის ოსური მოსახლეობის ფსიქიკა და განწყობილება. პრაქტიკულად, ბევრი მათგანი, დღეს აღარ გრძნობს თავს საქართველოს მოქალაქედ! თუ კვლავ დავაყოვნებთ, ამ პროცესმა შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. როცა ყოველდღიურად მტკიცდება და ფართოვდება ოსი მოსახლეობის თუ ჯგუფების ყოფითი კავშირები ჩრდილოეთთან, სასწრაფო ზომებია მისაღები, რომ სამუდამოდ არ დავკარგოთ საქართველოს ეს ისტორიული მხარე. აღარაფერს ვამბობ ისეთ საერთო ჭირზე, როგორიც არის ნარკომანია... გაუზვიადებლად ვიტყვი, რომ ოსურ სეპარატიზმთან ბრძოლა საბავშვო გართობად შეიძლება იქცეს ნარკომანიასთან ბრძოლასთან შედარებით. ჩვენ ხელიდან გავუშვით მომენტი, როცა კიდევ შეიძლებოდა აკვანშივე ჩაგვეკლა ნარკობიზნესი (მაშინ საქართველოს ხელისუფლების წინაშე სხვა უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის დილემა იდგა), დღეს ის უკვე ძნელად დასამარცხებელ მონსტრად იქცა. ერთი სიტყვით, გადასაჭრელ პრობლემათა სირთულემ და მრავალფეროვნებამ ფართო უფლებამოსილებაცა და დიდი პასუხისმგებლობაც განაპირობა. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, ალბათ, აქ იმ ფაქტორმაც შეასრულა როლი, რომ მე წარმოშობით სამაჩაბლოელი ვარ, იქ გავიზარდე და დავიწყე შრომითი საქმიანობა, დღემდე მჭიდრო კავშირი და ახლო ურთიერთობა მაქვს ქართულ და ოსურ წრეებთან, მიმესვლება მათთან, შემიძლია დიალოგი გავმართო, რაც დღეს ასე აუცილებელია. როგორც ჩანს, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ნორმალური ურთიერთობა მაქვს რეგიონში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთანაც...

— შარშან, წლის დამლევს ჩვენს პრესაში იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ თქვენ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაშიც ჩასვიდით და კონტაქტები დაამყარეთ ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებთან. ეს კონტაქტები თუ გრძელდება?

— რასაკვირველია, ვლადიკავკაზში ყოფნისას ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა ჩრდილოეთ ოსეთის სამეცნიერო წრეებთან, პარლამენტარებთან, ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებთან. ახლაც დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი შეხვედრა უკვე „სხს"-ის წარმომადგენლების მონაწილეობით. დიდ იმედებს ვამყარებთ ამ პროცესზე. ჩრდილოეთ ოსეთში ხომ ათობით ათასი ლტოლვილია საქართველოდან და ადგილობრივი ხელმძღვანელობა უაღრესად დაინტერესებულია კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს. მთავარი ის არის, რომ ყველას აშკარად მობეზრდა „ცხელი" თუ „ცივი" ომი...

— თუ საიდუმლო არ არის, როგორია ვლადიკავკაზის ხელმძღვანელობის პოზიცია სამაჩაბლოს სტატუსის საკითხში?

— ამთავითვე გეტყვით, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. რაც შეეხება საერთოდ სტატუსს, ბუნებრივია, რომ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა არ შედის ვერც შიდა რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის კომპეტენციაში. ამას კონსტიტუცია გადაწყვეტს საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობათა და ყველა ერის კანონიერი, საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამება 20-იანი წლების ბოლშევიკებივით ახალი ხანგრძლივმოქმედი ნაღმებით ავავსოთ ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრიობა. ამიტომ, ჩემი აზრით, ყველა მომენტის გათვალისწინებით, ოსმა და ქართველმა სპეციალისტებმა ერთად უნდა იმსჯელონ სტატუსზე, ხომ არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ იგივე საქართველოში, ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე ოლქში? რა უფლებებით უნდა ისარგებლონ თბილისელმა, გორელმა, ხაშურელმა, ქარელელმა, ახმეტელმა თუ ლაგოდეხელმა ოსებმა? ჩვენ სულაც არ გვსურს, რომ მათ ცხინვალელ თუ ჯაველ თანამოქალაქეებზე ნაკლები უფლებები ჰქონდეთ. იურისტი არ ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ხვალინდელ საქართველოში ყველა ოსი ერთნაირი უფლებით უნდა სარგებლობდეს. სხვაგვარი საქართველო არ იქნება დემოკრატიული სახელმწიფო.

— თქვენს საუბარს ოპტიმისტური ტონალობა აქვს. როგორც ჩანს, მომავალს იმედით უყურებთ. რას ემყარება ეს ოპტიმიზმი? დღევანდელი ოპოზიცია ხომ ხელისუფლებას აფხაზეთთან ერთად, სამაჩაბლოს დაკარგვაშიც სდებს ბრალს?

— ოპოზიცია რის ოპოზიცია იქნება, თუ რამეში ბრალი არ დასდო ხელისუფლებას? მეორე საკითხია, თუ რამდენად სამართლიანია ეს ბრალდებები. ფაქტია, რომ დღეს საქართველოს რიგ რეგიონებში ფიქციად იქცა ჩვენი იურისდიქცია, მაგრამ პირადად ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს დროებითი მოვლენაა. გადაავლეთ თვალი ჩვენს ისტორიას; რამდენჯერ და რამდენი ხნით დაგვიკარგავს ესა თუ ის ტერიტორია? განა თვით თბილისში გადამთიელი ამირა არ იჯდა? ღმერთმა ნურც ის დამაჯეროს, რომ ოპოზიციასაც გულწრფელად სწამს სოხუმისა თუ ცხინვალის სამუდამოდ დაკარგვა. ქართველი ერი არავის აპატიებს ქართული ძირძველი მიწების დაკარგვას, არც დღევანდელ ხელისუფლებას და არც იმ ოპოზიციას, რომელიც ხვალ შეიძლება თვითონ მოვიდეს ხელისუფლების სათავეში. ეს საკითხი ორლესური მახვილია და ვიწრო პოლიტიკური მიზნებით მისი გამოყენების ყოველი ცდა ძალზე სახიფათოა. საბოლოოდ, ხომ ნებისმიერ ტერიტორიას, ესა თუ ის მთავრობა კი არა, ქვეყანა, მთელი ერი, შთამომავლობა კარგავს. რაც კონკრეტულად სამაჩაბლოს შეეხება, ის არავითარ შემთხვევაში არ არის „დაკარგული". მე რომ ეს არ მწამდეს, არ მჯეროდეს ამ ქართულ მიწა-წყალზე საქართველოს ხელისუფლების აღდგენისა და განმტკიცების რეალური შესაძლებლობა, ვერავითარი ძალა ვერ დამიყოლიებდა ამ თანამდებობაზე. ამიტომაც დავთანხმდი, რომ მჯერა — სამაჩაბლო იყო და იქნება საქართველოს ნაწილი, სადაც ერთად იცხოვრებს ოსი და ქართველი.



— ქართველებს ყველგან და ყველაფერში გვჭირს „ოქროს შუალედის" გამოძებნა. ან ერთ უკიდურესობაში უნდა გადავვარდეთ ან მეორეში. ახლაც, საზოგადოების ერთი ნაწილი მხოლოდ დიპლომატიისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა იმედზეა, მეორე მხოლოდ ძალით მიიჩნევს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შესაძლებლობას. თქვენ, როგორც გატყობთ, ძალისმიერი მეთოდების წინააღმდეგი ხართ?

— როგორც პოლიტიკასთან ასე თუ ისე წოლნაყარი ადამიანი (არ მიყვარს პოლიტიკოსი ვუწოდო საკუთარ თავს), პრინციპში, არ ვამორიცხავ ძალისმიერ მეთოდებს; გარკვეულ სიტუაციაში სახელმწიფო ინტერესები ძალის გამოყენებასაც მოითხოვს. განა იგივე ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ერთხელ თუ ორჯერ გამოუყენებია ძალა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად? ხომ გახსოვთ, რა დღე აყარეს „შავ აჯაზებს". რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ შემთხვევას, მწამს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრა ძალის გამოყენებით უპერსპექტივოა. დავუშვათ, რომ გარეში ძალების დახმარებით ულტრა-ნაციონალისტურად და სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა ოსთა მხრიდან, შესძლეს დროებით შეინარჩუნონ საქართველოსაგან „დამოუკიდებლობა". მერე? ჯერ ერთი, ეს არავითარი დამოუკიდებლობა არ იქნება; თვით ვლადიკავკაზიც კი არ სცნობს მათ. მეორეც, ეს ახალ უბედურებას მოუტანს თვით ოს ხალხს! ასევე, ჩვენც. ძალით რომ ვაიძულოთ ოსები შეეგუონ მათი კანონიერი ინტერესებისათვის მიუღებელ პირობებს, არც ეს იქნება მყარი და ხანგრძლივი მშვიდობის გარანტია; პირველივე უმნიშვნელო საბაბი ახალი სისხლისღვრის, ნგრევისა და ლტოლვილთა ახალი ნაკადის კატალიზატორად იქცევა, რადგან სამოქალაქო ომში არ შეიძლება არსებობდეს გამარჯვებული, ასევე არ შეიძლება სამოქალაქო ომის რეციდივების ერთხელ და სამუდამოდ ძალით განეიტრალება, აქ მხოლოდ პოლიტიკური მიდგომა, ურთიერთშეთანხმებაა მისაღები, როცა არც ერთი მხარე თავს მოტყუებულად არ გრძნობს. ამიტომ, სანამ იარსებებს კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების იოტისოდენა შანსიც კი, გამოვრიცხავ ძალის ნებისმიერ გამოყენებას. ჩვენც და ოსებმაც ძალა საერთო მტრის — ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ. ამიტომაც არის, რომ მეცნიერ-ექსპერტებს დახმარებას ვთხოვთ და ეს მიმაჩნია დიდ ძალად. უკვე აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენთან ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე, ბ-ნი ნოდარ ლომოური, ზურაბ ფორაქიშვილი, ლევან თოიძე, სოსო ცინცაძე, ლევან მაჭარაძე.

— ბოლო კითხვაც: დღეს ჩვენ თბილისში ვსაუბრობთ, თუმცა კაცმა რომ თქვას, თქვენი ადგილი ცხინვალშია. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში შევძლებთ ცხინვალში შეხვედრას და საუბრის გაგრძელებას?

— სურვილი მუდამ წინ უსწრებს რეალობას. ოპტიმიზმიც განსხვავდება ილუზიისაგან. დიდი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო იმისათვის, რომ თბილისელი თავისუფლად ჩავიდეს თუნდაც ცხინვალში და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. ჩვენ მზად ვართ ამ სამუშაოსათვის და საამისო გეგმაც შევიმუშავეთ. ეს უკვე ილუზია აღარ არის, ეს რეალურ ფაქტორებზე დამყარებული ოპტიმიზმია. ცხინვალელი, ჯაველი, ახალგორელი ოსიც უშიშრად ჩამოვა თბილისში. ასე იყო წარსულში და ასე იქნება მომავალშიც, არც თუ შორეულ მომავალში. იმასაც გეტყვით, რომ სამი ქალიშვილი მყავს და ერთს მაინც მამამისის მშობლიურ კუთხეში გავათხოვებ, ქორწილს, ნახავთ რამდენი ოსი მესტუმრება...

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა

სპარტაკ ქოგულია.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. სოჭში მიმდინარე მოლაპარაკებაზე, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით, აფხაზთა მხარის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ლტოლვილთა დაბრუნება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნება მათი დაბრუნებისათვის საჭირო სოციალური პირობები.

თბილისი. დედაქალაქის მერია სერიოზულ მუშაობას ატარებს ქალაქში ნაგვის პრობლემის მოსახსნელად. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. თუ 80-იანი წლების დასაწყისში თბილისს ემსახურებოდა 1000 ნაგვის მანქანა, წლევანდელი წლის დასაწყისში მათი რაოდენობა სულ 180 ცალი იყო, ახლა კი 200-ს გადააჭარბა. მიმდინარეობს მანქანების გაზის საწვავზე გადაყვანის პროცესი.

ახლახან ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აღნიშნული ორგანიზაცია თბილისში ააშენებს ნაგავგადამამუშავებელ ქარხანას, რისთვისაც თანხებს გაიღებს ევროგაერთიანების ეკოლოგიური ბიურო.

თბილისი. ხუთშაბათს, 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის წევრები ხესიაზე მოისმენენ კუპონის გასამტკიცებლად აუცილებელ ღონისძიებათა პროგრამას, რომელიც შესაბამისმა კომისიამ უნდა წარმოადგინოს.

თბილისი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს 1994 წლის შემოდგომაზე საქართველოში ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ზოგიერთი სხვა პარტია, მაგალითად ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ამის წინააღმდეგია და თვლის, რომ არჩევნების ჩატარება 1995 წლის შემოდგომამდე, ვიდრე არ ამოიწურება მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, მიზანშეუწონელია.

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე განსახილველად გამოტანილ იქნება კანონი ინვესტიციათა შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია უცხოური კაპიტალის ინვესტიციების ხელშეწყობა.

ამ კანონის მიღებას დაჟინებით მოითხოვდნენ უცხოელი ინვესტორები.

თბილისი. საქართველოში იქმნება სამეწარმეო პალატა, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც კერძო ფირმები, ასევე სახელმწიფო საწარმოები. პალატა კოორდინაციას გაუწევს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას.

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პრინციპული თანხმობა განაცხადა საქართველოს გამოუყოს უპროცენტო გრძელვადიანი კრედიტები.

ასეთ კრედიტებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი იშვიათად გასცემს.

თბილისი. ევრობანკი დაინტერესებულია ფოთის პორტის აქციონირებით და მონაწილეობას მიიღებს ამ პორტის რეკონსტრუქციაში.

თბილისი. 1994 წლის აგვისტოში გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო განიხილავს საკრედიტო ხელშეკრულებას საქართველოსა და გერმანიას შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებს გერმანიის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტების რეალიზაციას. სამინისტროში აპრობირების შემდეგ, ხელშეკრულება გამოქვეყნდება და კერძო ფირმებს საშუალება მიეცემათ წარადგინონ კრედიტის რეალიზაციის საკუთარი პროექტები.

კრედიტი დაიხარჯება საუკეთესო პროექტის სარეალიზაციოდ.

პირადი აზრი

ნაპოლეონ ქარქაშაძე საქართველოში ცნობილი პიროვნებაა, 58 წლისაა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ადრე საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, ახლა კი აგრარული უნივერსიტეტის რექტორი. არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის ოთხი სახელმძღვანელოა, სამი — მონოგრაფია. ეროვნულ მოძრაობაში მთელი ძალისხმევით მონაწილეობდა, იყო აფხაზეთის ქართველების ერთ-ერთი ლიდერი, აფხაზეთში ჩამოაყალიბა რუსთაველის საზოგადოება და თავად ჩაუდგა სათავეში. 1988 წელს მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოც. ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.



ნაპოლეონ ქარქაშაძე:

„ოპტიმიზმი ჩვენს მოქმედებაში უნდა გამოვლინდეს“

— ბატონო ნაპოლეონ, საქართველოში თქვენ ყველაზე „სტაჟიანი“ რექტორი ბრძანდებით. მოღვაწეობდით კომუნისტურ პერიოდში, პრეზიდენტის მმართველობის დროს და ახლაც...

— მართალი ბრძანდებით, დღევანდელ რექტორებში მართლაც ყველაზე სტაჟიანი აღმოვჩნდი. 1975 წელს დავინიშნე სუბტროპიკული ინსტიტუტის რექტორად და მის ჩინებულ კოლექტივში 16 წელი ვიმუშავე. მიმაჩნია, რომ აფხაზეთში გატარებული წლები ჩემი ცხოვრების ძვირფასი პერიოდია. მეოთხე წელია ვმუშაობ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორად. რა შემიძლია ვთქვა? კომუნისტების დროს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები (და ასეთი საქართველოში სამია) შედიოდა საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში და ჩვენს საქმიანობას უშუალოდ მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობდა. შეიძლება დღეს ცოტა არაპატრიოტულადაც ჟღერდეს, მაგრამ სიმართლის დამალვა უზნეობად მიმაჩნია: არ მახსოვს, მთავარ სამმართველოს ჩვენი აზრისთვის ანგარიში არ გაეწიოს. სამივე უმაღლესი სასწავლებლის შესანახად საკავშირო ფონდში შესაბამისი უწყებების მეშვეობით რესპუბლიკა ყოველწლიურად 16,5 მილიონ მანეთს რიცხავდა. ჩვენ კი ორჯერ მეტს ვხარჯავდით. მარტო 1989 წელს სამივე უმაღლესმა სასწავლებელმა 37,8 მილიონი მანეთი დავხარჯეთ. სწორედ ამის შედეგად მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. ამ პერიოდში აშენდა მათი შესანიშნავი სასწავლო კორპუსები, საერთო საცხოვრებლები და ა. შ. ძირითადად მთავარი სამმართველო უმაღლეს სასწავლებლებს მხოლოდ ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ეხმარებოდა. იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზეც. ყველა მოსაგვარებელ საკითხზე რეაგირება დაუყოვნებლივი იყო.

საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდში კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. სამინისტროებსა და სხვა უწყებებში დასვეს არაკომპეტენტური მუშაკები, დაიწყეს უხეში ჩარევა ყველა საქმეში. იღებდნენ დადგენილებებს რექტორების მოხსნა-დანიშვნაზე. მახსოვს, დეკემბრის ამბების წინ მაშინდელმა განათლების მინისტრმა, ე. ჯაველიძემ (რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა) გამომიძახა და გულისტკივილით მაუწყა, პრეზიდენტმა შენი რექტორობიდან წასვლა მოითხოვაო. მაშინ კოლექტივის ძირითადი ნაწილი გვერდით დამიდგა... ვერ მოასწრეს, თორემ, ალბათ, მეც ბატონების არჩილ ასათიანისა და ნოდარ ამაღლობელის ბედი მეწეოდა.

ამჟამად მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია. მართალია, ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანა განადგურებულია, მოშლილია თითქმის ყველა სტრუქტურა და რგოლი, მაგრამ ამ პირობებშიც კი უმაღლესი სასწავლებლებისადმი ხელისუფლების ყურადღება უფრო მეტი უნდა იყოს. დღევანდელი დაფინანსების პირობებში ერთ კილოგრამ ლურსმანსაც ვერ შეიძენ. ზედმეტია ლაპარაკი მივლინებებზე, სახელმძღვანელოებისა და სხვა აუცილებელი ლიტერატურის გამოცემაზე, სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ჩატარებაზე. ერთი სიტყვით, ჩაქვდა სასწავლო პროცესი, მინელდა მეცნიერული აზრი, პროფესორის წოდებაც კი უკვე ერთგვარი სიბრალულის გამომწვევი გახდა. გაუფასურდა დიპლომი და ა. შ.

— ასეთ პირობებში კი მომრავლდა ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები...

— მე ვთქვი, რომ ეს არის შეგნებული საბოტაჟი უმაღლესი სკოლებისადმი და უწინარესად ამაში დამნაშავეა პრეზიდენტის ხელისუფლება. თავად განსაჯეთ, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, 200-ზე მეტი ფასიანი და 20 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი უზომოდ დიდი დატვირთვაა. ახალგაზრდობა, რომელიც მატერიალურ დოვლათს უნდა ქმნიდეს, მომხმარებელი ხდება. ამას ემატება ისიც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ან გასაუბრებით ჩარიცხვამ დასცა სწავლების პრესტიჟი საშუალო სკოლებში. რა დასამალია და, მისაღები გამოცდების დროს დაუჯერებელ კურიოზებს ვაწყდებით. არის შემთხვევები, როცა აბიტურიენტი სიმბოლოებსაც ვერ წერს, ატესტატში კი მაღალი ნიშნები უწერია. თუ რა დონეზეა სწავლება ფასიან უმაღლესებში, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის. ასე რომ, შემდგომში საქართველო შეიძლება „სტუდენტების“ ისეთ ქვეყნად გადაიქცეს, სადაც ნიჭიერისა და უცოდინარის გარჩევა შეუძლებელი გახდება.

— რა გამოსავალს ხედავთ, რით უნდა დავიწყოთ მდგომარეობის გამოსწორება?

— სამწუხაროდ, საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი არ არის და ამდენად სხვა ქვეყნებისთვის ნაკლებ საინტერესოა. ახალი ტექნოლოგიების დასანერგად და პერსპექტივაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოსაშვებადაც სათანადო კაპიტალი არ გაგვაჩნია. ერთადერთი, რითაც შეიძლება დავაინტერესოთ ცივილიზებული სამყარო, ჩვენი ინტელექტია. დღეისათვის მხოლოდ ამ მაჩვენებლებით შეიძლება დავდგეთ განვითარებული ქვეყნების გვერდით. სამწუხაროდ, ჩვენი ინტელექტუალური კაპიტალი არა მარტო უმოქმედოა, არამედ ცვდება (ძველები მიდიან) და მომავალიც არა აქვს. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად მეცნიერება და უმაღლესი განათლება უნდა ჩათვალოს. უნდა მომზადდეს ღირსეული ცვლა, რომელიც ამ ესტაფეტას მიიღებს. დღევანდელ პირობებში ასეთი ცვლის მომზადება შეუძლებელია, ასპირანტურაში გამოყოფილ ადგილებსაც კი ვეღარ ვითვისებთ... ამიტომ, ვიმეორებ, რა გაჭირვებაც უნდა გვადგეს, უწინარესად განათლებასა და მეცნიერებას უნდა მივხედოთ. და ეს სავსებით შესაძლებელია.

— მაინც რა უნდა იღონოს ხელისუფლებამ?

— ალბათ, ის, რომ უმაღლესებს და სამეცნიერო დაწესებულებებს გამოუყოს ვალუტა, მათ შორის რუსული ფულიც. გვესმის, რომ ეს ძნელია, მაგრამ არა მგონია სახელმწიფოს მეთაურს თავის საინტერესო და სასარგებლო ვიზიტების დროს რომელიმე ქვეყნის მეთაურმა უარი უთხრას ამ მიზნისთვის ერთი მილიონი დოლარის გამოყოფაზე. ეს საშუალებას მოგვცემდა დასავლეთისთვის თავი შეგვეხსენებინა, ჩვენი პოტენციური შესაძლებლობები გამოგვემზეურებინა, თუ სხვა ქვეყნებში გასვლის შესაძლებლობა გვექნა ჩვენ შეგვიძლია მათ სათანადო ანაზღაურებით დავუმუშაოთ სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო თუ პრაქტიკული საკითხები. სხვათა შორის, თავის დროზე იაპონიამ და ისრაელმა ამით დაიწყეს. ვთქვათ, რაღაც პრობლემის დამუშავებას დასავლეთში 100 ათასი დოლარი სჭირდება. ჩვენ ამ სამუშაოს 80 ათას დოლარად შევასრულებდით და ა. შ. მაგრამ საამისოდ საჭიროა მათ იცოდნენ ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობანი. ამჟამად კი ეს უზარმაზარი კაპიტალი უმოქმედოდაა.

— ეს ხომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ინტელექტის გადინებას გამოიწვევს..

— უმოქმედო ინტელექტი მაინც არავის არგია და დასალუპავად არის განწირული. აქ რომ ვართ, რას ვაკეთებთ? ფაქტობრივად არაფერს, ვიმყოფებით ინფორმაციულ ვაკუუმში და ჩვენი ცოდნის დევალვაცია ხდება. ცოდნის შევსებას მუდმივი წყარო თუ არა აქვს, იგი ილუპება. ამიტომ იქნებ უმჯობესი იყოს ჩვენი ინტელექტის საქმეში დაბანდება. თანაც ამისთვის სხვა ქვეყანაში გასვლა აუცილებელი არ არის, როგორც იტყვიან, თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდანაც მოვაო... ასე რომ, ყველაფერი შინ მოგვივა.

— ბატონო ნაპოლეონ, თქვენ ცნობილი ეკონომისტი ბრძანდებით. თქვენი აზრით, თითქმის მთლიანად დაღუპულ და განადგურებულ სოფლის მეურნეობას რით უნდა ეშველოს?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა შედგეს პროგრამა, — რა გვაქვს და რისი გაკეთება შეიძლება. ასეთი პროგრამა არ არის. თუ შეგვიძლია, მაგალითად, რომ 1000 ჰექტარი მოვხნათ, ეს სამუშაო უნდა ჩატარდეს და მისი შესრულებაც მკაცრად გაკონტროლდეს. შემსრულებლები კი უშუალოდ ძირეულ რგოლებში —სოფლებში, დაბებში, ყოფილ მეურნეობებში უნდა ვეძიოთ. აქ კი ამჟამად სრული განუკითხაობაა, სოფლის გამგებლობა უმეტეს შემთხვევაში, ხელში ჩაიგდეს კრიმინალურმა ელემენტებმა. მათ, ცხადია, სახელმწიფოებრივი წესრიგი და წარმოების სახელმწიფოებრივი სისტემა ხელს არ აძლევთ. გამკითხავი კი არავინაა. ასეთმა კლანებმა მთლიანად იავარყვეს ჩვენი უნივერსიტეტის მძლავრი ეკონომიკის მქონე მეურნეობა. შარშან ერთი გრამი პროდუქციც არ მიუღიათ. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია რა ხდება სხვაგან.

დანაშაულებრივი ხასიათი მიიღო მიწების პრივატიზაციამ. უფრო სწორად, ეს დატაცებაა. შარშან დავამთავრე მუშაობა წიგნზე „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“, შევისწავლე სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე აგრარული რეფორმები. არც ერთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობას ისე ბარბაროსულად არ მოქცევიან, როგორც ჩვენთან. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა ფაქტობრივად არ არსებობს, იგი განადგურებულია. რით უნდა დავიწყოთ? უწინარესად დაუყოვნებლივ უნდა აღირიცხოს ყოველივე ის, რაც გადარჩა. ცხადია, ეს ეხება მიწას, ტექნიკურ და სატრანსპორტო საშუალებებს, შენობა-ნაგებობებს, მრავალწლიან ნარგავებს და ა. შ. დღევანდელი მდგომარეობის შესწავლის შემდეგ რისი შეკეთებაც კი შეიძლება, უნდა შეკეთდეს, აღსადგენი უნდა აღდგეს. სხვათა შორის, ეს სამუშაოები ზამთარში უნდა შესრულებულიყო. სასწრაფოდ უნდა გამოიძებნოს კრედიტი საწვავის, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა აუცილებელი მასალების შესაძენად და მათ ხარჯვაზე მკაცრი კონტროლი უნდა დამყარდეს. უნდა მოვაწესრიგოთ სარწყავი სისტემა, გამოვგლიჯოთ იგი მაფიოზურ ელემენტებს, დავამყაროთ სახელმწიფოებრივი კონტროლი მის ექსპლოატაციაზე. უნდა ამოქმედდეს სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები... ინდივიდუალურ სექტორშიც უნდა დაიწყოს პროდუქციის ჩაბარება, არავის არა აქვს უფლება მხოლოდ თავის საკუთრებად ჩათვალოს მის სარგებლობაში არსებული მიწა და უმოქმედოდ ჰქონდეს იგი. ერთი სიტყვით, საქმის გაკეთება შეიძლება, მაგრამ გამკეთებლები პატიოსანი და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ადამიანები უნდა იყვნენ.

— აფხაზეთი საქართველოს უმწვავესი ტკივილია, ჩვენი სევდა და ვარამია, საქართველო უაფხაზეთოდ ისევე წარმოუდგენელია, როგორც ადამიანი თავის ან მხრების გარეშე. რაც ჩვენ აფხაზეთში დაგვემართა, ეს ქართველი ხალხის მარადიული ტკივილი და სირცხვილია. თქვენ აფხაზეთში დიდხანს მუშაობდით, როგორ შეაფასებდით იქ შექმნილ სიტუაციას?

— გეთანხმებით, თავიანთ ძირძველ მიწაზე ქართველებმა გაუგონარი მარცხი იგემეს. მაგრამ რაც მოხდა, ერთბაშად, ხელის ერთი დაკვრით არ მომხდარა. სამწუხაროდ, ქართველობას აფხაზებთან ურთიერთობის წინასწარ მოფიქრებული პროგრამა არასდროს არ ჰქონია. აფხაზებს პირიქით, ასეთი პროგრამა ჰქონდათ. ჩვენ კი მხოლოდ მომხდარ ფაქტებზე ვახდენდით ზერელე რეაგირებას, თანაც არა ყოველთვის. ჩვენი მოქმედება იყო ნაუცბათევი, უმრავლეს შემთხვევაში არასწორი. აფხაზები კი ნაბიჯ-ნაბიჯ, ჯიუტად მიიწევდნენ თავიანთი მიზნებისაკენ. მახსოვს, „ლიხნის წერილზე“ რეაგირება მხოლოდ საზოგადოების დონეზე მოხდა, არ მიეცა მას სახელმწიფოებრივი და როგორც მაშინ ამბობდნენ, პოლიტიკური შეფასება, როდესაც ქ. სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადეს, წავუყრუეთ, ხმა არ ამოვიღეთ. წარმოიდგინეთ ნალჩიკი ან გროზნო ჩვენს დედაქალაქად რომ გამოგვეცხადებინა იქაურნი რა ამბავს ატეხავდნენ. ჩვენ კი კრინტი არ დაგვიძრავს. არადა, ეს ჩვენი რეაგირების სასინჯი ქვა იყო. ჩვენი დუმილით მათ ჩვენი ანალიზის უუნარობა და უძლურება შეიგრძნეს და აქტიურ მოქმედებასაც შეუდგნენ.

სხვათა შორის, პირადად მე, როგორც აფხაზეთის მაშინდელი პარლამენტის წევრი, არძინბას არჩევის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ჩაგვაჩუმეს. სპეცტელეფონით პირადად ველაპარაკე პრეზიდენტს, სამაგიეროდ კი მუქარა გაისმა. სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც ბევრია ე. წ. „ეროვნული მოღვაწე“, რომელსაც აშკარად მიუძღვის ბრალი არძინბას ხელისუფლების განმტკიცებაში. მაგრამ ისინი დღეს სხვანაირად ლაპარაკობენ, თავიანთ დანაშაულს სხვებს აბრალებენ. ჩვენი უმოქმედობით არძინბა სეპარატისტთა აღიარებული ლიდერი გახდა, რომელმაც ერთ მუშტად შეკრა არა მარტო აფხაზები, არამედ ჩრდილო კავკასიის ხალხები. ქართველებს კი ლიდერი არ აღმოგვაჩნდა. არძინბას დავუპირისპირეთ მხოლოდ დაქსაქსულობა, ერთმანეთში გაუთავებელი კინკლაობა, შემთხვევითი, თვითმარქვია ლიდერები და ა. შ.

[illegible] მუშაობის შედეგები...

მეჩვენება, რომ მოლაპარაკებებზეც მოუმზადებელნი მივდივართ. რატომ არ არის წარმოდგენილი ამ მოლაპარაკებებზე ოფიციალურ მხარედ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც აფხაზებზე თითქმის სამჯერ მეტს შეადგენენ? ან ისინი, მომავალში იქ რომ უნდა იცხოვრონ? იმიტომ, რომ აფხაზები ამის წინააღმდეგი წავიდნენ! ერთი სიტყვით აფხაზებმა არა მარტო ომი მოგვიგეს, არამედ დიპლომატიაშიც გვაჯობეს. ახლა ბევრს უკვირს, ბევრს ვუთმობთ აფხაზებსო. ჩვენ ვერ გავითავისეთ ის, რომ ამ ომში მათ გაიმარჯვეს, ჩვენ კი დავმარცხდით და მოლაპარაკებასაც ამ პოზიციებიდან ვაწარმოებთ. ასე დავთმეთ უკანასკნელი მოლაპარაკების დროსაც, როცა აფხაზეთში ლტოლვილთა „დაბრუნების“ ბედი გადაწყდა.

— ბატონო ნაპოლეონ, თქვენ პარლამენტი ახსენეთ, რა აზრისა ხართ მის მუშაობაზე?

— ცხადია, უარყოფითი აზრისა ვარ. და არა მარტო მე, ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობაც. ქართველ ხალხს ამ გადამწყვეტ ხანაში უფრო ჭკვიანი პარლამენტი უნდა ჰყოლოდა. მაგრამ დაინტერესებულმა პირებმა თავს ისეთი საარჩევნო სისტემა მოგვახვიეს (და დღესაც ამასვე ცდილობენ), რომ ამომრჩეველს ვერ გაერკვია, ვის აძლევდა ხმას. ეს უფრო რებუსი იყო, ვიდრე საარჩევნო სისტემა. 220-კაციან პარლამენტში 80 დეპუტატზე მეტი გავიდა ე. წ. „საკომპენსაციო სიებით“. სწორედ ამიტომ მოხვდა პარლამენტში ზოგიერთი ისეთი დეპუტატი, რომელსაც საერთოდ, ბიოგრაფია არ გააჩნია და ასეთ უბირებს ქვეყნის ბედის გადაწყვეტა მივანდეთ. მათ კი მართლა დაიჯერეს, რომ ხალხის რჩეულები არიან.. თუ სადამდე მიიყვანეს ქვეყანა, ამას ყველანი ვხედავთ. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, უზნეობის უმაღლესი მწვერვალია, აპოგეაა, მაგრამ, ვიმედოვნებ, ხალხი მსგავს შეცდომას მომავალში აღარ გაიმეორებს.

— ესე იგი თქვენ მაინც ოპტიმისტურად ბრძანდებით განწყობილი?

— ოპტიმიზმი ჩვენს მოქმედებაში უნდა გამოვლინდეს. ზოგიერთები გაიძახიან გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართო, მდგომარეობის გამოსასწორებლად კი არაფერს აკეთებენ. ცხადია, ასე ვერაფერს მივაღწევთ, საჭიროა ოპტიმიზმი ჩვენს საქმეებს ეტყობოდეს... ოპტიმიზმი ნიშნავს, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს გულიანად, შეძლებისდაგვარად. მხოლოდ ასეთი მიდგომა გამოგვიყვანს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან.

— როგორც ეკონომისტი, როგორ აფასებს საქართველოს შესვლას თანამეგობრობაში?

— ეს საკითხი ადრე რომ გადაწყვეტილიყო, საქართველო ბევრ თავსატეხს აიცილებდა. არ დაიკარგებოდა აფხაზეთი, სამაჩაბლოშიც, ცოტა სხვაგვარად წავიდოდა საქმე. არ გვეყოლებოდა ამდენი ლტოლვილები. ეკონომიკური მდგომარეობაც უფრო უკეთესი იქნებოდა, დროებით დავრჩებოდით სამანეთო ზონაში და ა. შ. მაგრამ ე. წ. ოპოზიციამ სახელმწიფოს მეთაურს არ მისცა ამის საშუალება, დაფიქრების, ამოსუნთქვის შესაძლებლობა. გახსოვთ, ალბათ, რას არ აბრალებდნენ მას. ისიც ადამიანია და ეტყობა, შედრკა, ვერ გააკეთა დროულად ის, რასაც საჭიროდ თვლიდა და შედეგებსაც ვიმკით. რა აჟიოტაჟი ატყდა, როცა კუპონი შემოვიღეთ, ვიღაცამ იკითხა, ნაადრევი ხომ არ არის... და კინაღამ შეაჩვენეს. სადაც ემოციები მძლავრობს, იქ საღი აზრი იჩაგრება. ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარება გარკვეულ პერიოდამდე მომგებიანი იყო, თუმცა ხალხი ამასაც მიხვდა და ადვილად აღარ ტყუვდება. ცხადია, გვესმის, რომ დამოუკიდებლობა მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ადამიანს ჯერ არსებობა სურს. დამოუკიდებლობაც უკეთესი ცხოვრებისა და არსებობისთვის არის საჭირო. შვილიშვილები წამომეზარდნენ და ცირკი და ზოოპარკი რა არის, არ იციან. ვის რად უნდა ისეთი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, სადაც ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ნარკომანიამ წალეკა, ახალგაზრდობაში ყოველგვარი უზნეობა ნორმად იქცა, როცა ქურდობა და ყაჩაღობა პრესტიჟულ საქმედ ითვლება და ა. შ. ეს არის დამოუკიდებლობის ლოზუნგს ამოფარებული კრიმინალური ელემენტების პარპაში.

— მაშ, ისევ რუსეთი?..

— რატომ მხოლოდ რუსეთი. ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს ყველა ქვეყანასთან და უწინარესად რუსეთთან. გავიხსენოთ რუსეთთან შეერთებამდე როგორ ვიყავით დაქუცმაცებული. უფრო უარესიც: 1921 წელს ქვეყნის მთელი მიწების მხოლოდ 27 პროცენტი იყო ქართველების ხელში. დანარჩენი სხვა ტომის და ჯილაგის ხალხებს ეკუთვნოდა. გავიხსენოთ რა განათლების დონე გვქონდა ორი საუკუნის წინათ და სულ რაღაც 30 წლის შემდეგ უკვე უდიდესი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი გვყავდა. ასე რომ, რუსეთმა ნეგატიურთან ერთად ბევრი სიკეთეც მოგვიტანა. ამის დაუნახაობა მკრეხელობაა.

ქართველებმა უნდა ვიწამოთ და დავიჯეროთ, რომ პატარა ქვეყანა და მცირერიცხოვანი ერი ვართ. საიდუმლო როდია, რომ რუსეთი ცდილობს თავისი სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოგვაქციოს. მას არა მარტო შავი, არამედ ხმელთაშუა ზღვისა და ინდოეთის ოკეანის გაკონტროლებაც სურს. ჩვენ კი ჯერჯერობით შავ ზღვას კი არა, პალიასტომის ტბასაც ვერ ვაკონტროლებთ. ამიტომ, ასეა თუ ისე, რუსეთი ამიერკავკასიას ხელიდან არ გაუშვებს, თუ დიპლომატიით არ გამოუვა, ძალით დაგვიპყრობს, კუთხეებს გადაკიდებს ერთმანეთს... ასეც მოიქცა, დღეს დიდი პოლიტიკოსობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, თუ რა ზრახვები აქვს რუსეთს. ამიტომ ამ ქვეყანასთან ომი ხელს არ გვაძლევს. მთელი ორმოცი წელიწადი უქიცინებდნენ კუდს რუსეთს გერმანელები. რუსეთი ის ქვეყანაა, დღესაც თვალებში რომ შესციცინებს მსოფლიო, ჩვენ კი ეს ფაქტორი არ გვინდა დავინახოთ. რუსეთთან მუშტების ქნევა და მისი ლანძღვა-მუქარა კი არა, გონივრული, რეალური, არაგამაღიზიანებელი პოლიტიკაა საჭირო. ჩვენ უნდა დავიმკვიდროთ ღირსეული ადგილი მის გვერდით და განვავითაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა.

— და მაინც, გადარჩება თუ არა საქართველო?

— გადარჩება, თუ ყველანი, როგორც ნათქვამია, დავიკაპიწებთ ხელებს და გულიანად ვიშრომებთ.

ესაუბრა
დავით ბიწაძე.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია სანკტ-პეტერბურგს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პარლამენტთშორისი ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დასასწრებად მიემგზავრებოდა. პარლამენტის სპიკერის წინადადება მონაწილეობა მიმეღო ასამბლეის ეკონომიკისა და ფინანსების კომისიის მუშაობაში, როგორც ეკონომისტ-ექსპერტს, დიდ პატივად მივიღე. მინდა მკითხველს გამოვუტყდე, რომ იმთავითვე დარწმუნებული ვიყავი, კომისიათა სხდომები და ანსამბლეის პლენარული სხდომა რუსეთის წარმომადგენელთა გავლენის ქვეშ მოექცეოდა, რამდენადაც ფინანსთა სამინისტროში მუშაობის 12 წლის განმავლობაში მოსკოვთან ასეთი ურთიერთობის გამოცდილება მქონდა. ჩემს ეჭვს საზოგადოებაში გავრცელებული ათასგვარი ჭორიც აძლიერებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოლოდინი არ გამართლდა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა:

პოლიტიკური ეჭვები და ეკონომიკური სინამდვილე

სანქტ-პეტერბურგში ჩაფრენისთანავე პოლიტიკური დანიშნულების მასალებს, პირველ ყოვლისა კი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პარლამენტთშორისი ასამბლეის საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებს გავეცანი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის /კანონის გაცნობის შემდეგ დავმშვიდდი. მის პირველ მუხლში აღნიშნულია: „თანამეგობრობა დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის საწყისებზე. სახელმწიფო წევრები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ და თანასწორუფლებიან სუბიექტებს, თანამეგობრობა არ არის სახელმწიფო და არ ფლობს ეროვნულ უფლებამოსილებას“. მეორე მუხლი: „თანამეგობრობის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობა“. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს გაერთიანება თანამეგობრობაში უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვათა მხარდამხარ, არ უნდა იყოს დამამცირებელი, როგორც ცალკეულ „პოლიტიკოსებს“ ჰგონიათ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა საპარლამენტო ასამბლეა შექმნილია, როგორც საკონსულტაციო ინსტიტუტი, საერთო ინტერესთა საკითხებისა და დოკუმენტთა პროექტების განსახილველად. იგი ჩამოყალიბებულია მონაწილე ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისაგან. თითოეულ დელეგაციას აქვს თანაბარი უფლებები და ერთი ხმა. ასამბლეის უფლებებს შეადგენს მხარეთა მოთხოვნით განიხილოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად მიმართოს მონაწილე ქვეყნების პარლამენტებს, სახელმწიფოს მეთაურებს. თანამეგობრობის მეთაურთა უმაღლეს საბჭოს. მის ორგანიზაციულ საქმიანობას ახორციელებს ასამბლეის საბჭო, რომელიც შესდგება საპარლამენტო დელეგაციათა ხელმძღვანელებისაგან. იგი გადაწყვეტილებას იღებს საერთო თანხმობის (კონსენსუსის) საფუძველზე. ასამბლეის ოფიციალური ენებია მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ენები, სამუშაო ენად კი მიღებულია რუსული. ასამბლეაში მუშაობს 8 კომისია.

ანსამბლეის პლენარულმა და კომისიების სხდომებმა სამართლიანობის, დემოკრატიულობისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. მუშაობა საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის იყო (აღნიშვნის ღირსია ის კეთილგანწყობა, რასაც ასამბლეის მუშაობაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა იწვევდა) ეკონომიკისა და ფინანსების კომისიაში წარმოადგინეს სარეკომენდაციო საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც ეკონომიკური კავშირის ფარგლებში სამეურნეო ურთიერთობები უნდა არეგულირონ. აგრეთვე განვიხილეთ სარეკომენდაციო კანონპროექტები „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ და შეთანხმების პროექტი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების ურთიერთობებში ბლოკადის დაუშვებლობის შესახებ“.

საკანონმდებლო აქტების უმეტესობა კომისიის წევრებმა მიიღეს და პლენარულ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად რეკომენდაცია მისცეს. მათ შემუშავებაში თითქმის ჩვენი ყველა წინადადება გაითვალისწინეს. ამასთან, ქართველთა მხარემ ითავა ივნისისთვის მოამზადოს სარეკომენდაციო კანონპროექტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (ამხანაგობის) შესახებ“, ხოლო რუსეთის პარლამენტარებმა — „აქციონერთა საზოგადოების შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება ქართველ კოლეგებთან ერთად ისურვეს.

18 მარტს გაიმართა პლენარული სხდომა. მას პარლამენტთშორისი ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ვ. შუმეიკო თავმჯდომარეობდა. დღის წესრიგის პროექტით წარმოდგენილი 16 საკითხიდან მოიხსნა ბლოკადის შესახებ მიმართვის პროექტი, რამდენადაც მისი მეოთხე პუნქტი (სანქციის შემოღების შესახებ) აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. პლენარული სხდომის დადგენილებებით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები მონაწილე სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირების გაფართოებისა და კომპლექსური განვითარების ერთიანი შეთანხმებული სამართლებრივი საფუძვლების შემუშავების; დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე ეკონომიკური კავშირის შექმნის; პოლიტიკურ, სამართლებრივ, ჰუმანიტარულ, თავდაცვისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობისა და თანადგომის ხარისხობრივად ახალი ფორმების ძიების, ეროვნებათაშორისი და რეგიონული კონფლიქტების მოსაგვარებლად მშვიდობიანი შემოქმედების აქტივიზაციის, რეფორმების საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და სხვათა შესახებ. პლენარულმა სხდომამ კომისიებს დაავალა: სამეურნეო, სოციალურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთდამოკიდებულების, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, საგადასახადო, საინვესტიციო, საბაჟო პოლიტიკის, საქონლის თავისუფალი გადაზიდვის მომსახურების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტის, ეთნიკური ჯგუფების პრობლემების, მიგრაციისა და ლტოლვილების პრობლემების მოგვარებაზე გაამახვილონ ყურადღება და მოამზადონ რეკომენდაციები ასამბლეის მეხუთე პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის, საქართველოს პარლამენტის სპიკერის ბატონ ვახტანგ გოგუაძის გამოსვლა. მისი, მართლაც პატრიოტული, ტაქტიანი, შორსგამიზნული სიტყვის შემდეგ დარბაზში ქართველთა მიმართ სიმპათიები გაასკეცდა. სპიკერის სიტყვა დაახლოებით იგივე პათოსით ჟღერდა, როგორც ტავრიდის სასახლის ბრწყინვალე დარბაზში 88 წლის წინათ ქართველი ერის მოძღვრის ილია ჭავჭავაძის სიტყვა. ამბობენ, ისტორიული პარალელები სახიფათოა, მაგრამ, მე ვიტყოდი, დღეს საქართველოსთვის ყველაზე მეტად სახიფათოა ჯიუტობა, როცა ერთსულოვნად არ გვინდა ვაღიაროთ ის რეალური პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულება, რომელსაც რუსეთთან მივყავართ. იმისათვის, რომ სიტყვიერად გადავარჩინოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თითქოსდა პირადული თავმოყვარეობა შელახულად არ ვიგრძნოთ, მზად ვართ დაუსრულებლად ვიმსჯელოთ ათასგვარ მიმართულებებზე. ამასობაში მიდის დრო, რომლის ფასი განუსაზღვრელია, ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება, ქვეითდება ხალხის ცხოვრების დონე, იძარცვება ქვეყანა, ძლიერდება ნარკომანია, კნინდება ქართული გენი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან რაც „მოვიპოვეთ“, ყველასათვის ნათელია. თუ შედეგით ვიმსჯელებთ, „ეროვნულ-გამანადგურებელი“ უფრო მიესადაგება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხელის ერთი დაკვრით რუსეთს და რუსულზე უარის თქმით ბევრი რამ დავკარგეთ, უპირველეს ყოვლისა კი ერთმანეთის რწმენა და სიყვარული.

ფრიად გაკვირვებული დავრჩი ჩვენი დელეგაციის პეტერბურგის მერთან ბატონ ა. სობჩაკთან შეხვედრისას. იგი საქართველოსა და ქართველ პეტერბურგელებზე: გ. ჩუბინაშვილზე, ნ. მარზე, ი. ჭავჭავაძეზე და სხვებზე ისე ლაპარაკობდა, როგორც მშობლიურზე. არ ჩანდა, რომ იგი წინა დღეს საგანგებოდ იყო მომზადებული. ქართველ ლტოლვილებს (რომლებიც მრავლად არიან ამ ქალაქში) ყოველნაირად უწყობენ ხელს, უფასოდ მკურნალობენ და თუ მოთხოვნა იქნება, ქართული სკოლისა და კულტურის ცენტრის გახსნაშიც დაეხმარებიან. დღეს ქართველები პეტერბურგში გაცილებით კარგად ცხოვრობენ, ვიდრე საქართველოში.

ვიდექი ერმიტაჟში რემბრანტის 1635 წელს შესრულებულ, მსოფლიო საგანძურის საუკეთესო ქმნილების „აბრაამის მიერ მსხვერპლშეწირვის“ წინ და ვფიქრობდი, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, რწმენა უნდა ჰქონდეს, რწმენა ღმერთისა, ადამიანისა და სიყვარულისა. იცოდეს შრომისა და მსხვერპლის ფასი. იმათ, ვინც გაიღო მსხვერპლი, შედეგიც აქვთ.

პეტერბურგი, ისე როგორც მთელი რუსეთი, დაპურებულია, ახალი იდეებით ცხოვრობს. რაც შეეხება დოლართან მიმართებაში რუსული მანეთის ინფლაციას, ამაზე ხალხი არა წუხს. ამერიკული დოლარი არ არის რუსი ხალხის ცხოვრების შეფასების კრიტერიუმი. პეტერბურგელები არც იმაზე წუხან, სახელმწიფო მაღაზიებში სამამულო საქონლის გვერდით უხვად რომ ალაგია ევროპული, ავსტრალიური, აზიური, აფრიკული და ამერიკული საქონელი, რამდენადაც ფასები მათთვის ხელმისაწვდომია. ამით მკითხველს სულაც არ მინდა ვარდისფრად წარმოვუდგინოთ რუსული ცხოვრება. როგორც ასამბლეის სხდომაზე გამოიკვეთა, ჯერ კიდევ უჭირს რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნების ეკონომიკას, მაგრამ ისე არა, როგორც ჩვენსას.

თანამეგობრობის ქვეყნებში მაქსიმალური ოდენობის ეროვნული შემოსავალი მიიღეს ბელორუსიაში 1989 წელს, სამრეწველო საქონელი — 1990 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1989 წელს, ყაზახსტანში შესაბამისად— 1988, 1989, 1988, აზერბაიჯანში— 1988, 1989, 1984, სომხეთში — 1989, 1987, 1986, მოლდოვაში— 1989, 1990, 1989, ყირგიზსტანში —1990, 1989, 1990, ტაჯიკისტანში — 1988, 1990, 1988, თურქმენისტანში — 1988, 1991, 1990, უზბეკისტანში — 1990, 1991, 1988 წლებში. რუსეთსა და უკრაინაში სამივე მაჩვენებელმა მაქსიმუმს 1989 წელს მიაღწია.

მაშასადამე, ამ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის „პიკი“ 1988-1991 წლებში დასრულდა. საბჭოთა კავშირის ნგრევამ მოშალა ერთიანი ეკონომიკა და დააბნია რესპუბლიკები. კრიზისი განსაკუთრებით გაღრმავდა 1992-93 წლებში. 1993 წლის 9 თვის მონაცემებით აღნიშნულ რესპუბლიკებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, წინა წლებში წარმოებულ მაქსიმალურ დონესთან შედარებით შეადგენდა: რუსეთში — 62,2, უკრაინაში — 79,1, ბელორუსიაში — 76, აზერბაიჯანში —67,5, ყაზახსტანში — 73,8, ყირგიზსტანში — 52.6, მოლდოვაში — 74,9, ტაჯიკისტანში — 53,6, თურქმენისტანში — 98,6; უზბეკისტანში — 96,4 სომხეთში— 22,9, ხოლო საქართველოში — 29,1 პროცენტს. 1992 წელთან შედარებით მატება ჰქონდათ თურქმენისტანს, უზბეკისტანს და მოლდავას, განსაკუთრებით დაბალი დონე კი სომხეთსა და საქართველოს. მათ სხვებთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლები მიღწევები აქვთ წარმოებული ეროვნული შემოსავლის მხრივაც. საქართველოში ეს მაჩვენებელი 1993 წელს 1989 წელთან შედარებით 24 პროცენტს შეადგენს.

რამდენადაც, საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ვრცლად ვისაუბრე სტატიაში „საქართველოს ეკონომიკა და სამანეთო სივრცე“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 21, 1994 წლის 2 თებერვალი), მათ დეტალურად აღარ გავაანალიზებ. მხოლოდ ერთს დავძენ — ყურძნის, ღვინისა და სადღეგრძელოების ქვეყანაში ყურძენი მაქსიმალური ოდენობით დამზადდა 1984 წელს — 801 ათასი ტონა. ეს მაჩვენებელი 1993 წელს შემცირდა 400 ათას ტონამდე, ხოლო წლეულს კი ნავარაუდევია 70,4 ათასი ტონის დამზადება. მარცვლეული 1987 წელს მოვიყვანეთ 714,2 ათასი ტონა, 1994 წლის პროგნოზით — 13,5 ათასი ტონა. ამასთან, მრეწველობა ძირითადად დუმს!

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მყარი ფულადი ერთეული. თანამეგობრობის 9 ქვეყანაში შემოღებულია ეროვნული ფულის ნიშანი. სხვადასხვა მიზეზთა გამო 1993 წლის 15 დეკემბრიდან წლევანდელ 1 მარტამდე ფულის კურსი შემცირდა ხუთ რესპუბლიკაში, რუსულ მანეთთან მიმართებაში: აზერბაიჯანული მანათი — 0,7-ჯერ, თურქმენისტანის მანათი — 0,9-ჯერ, ყაზახსტანური თენგი — 1,8-ჯერ, ქართული კუპონი — 2,7-ჯერ, სომხური დრამი 24,3-ჯერ. შედარებით მდგომარეობა გაიუმჯობესეს უკრაინულმა კარბოვანეცმა 1,1-ჯერ, ყირგიზსტანურმა სომმა — 1,1 ჯერ. სტაბილური მდგომარეობა იყო უზბეკეთში, სადაც მიმოქცევაშია, როგორც რუსული მანეთი, ისე უზბეკური სუმ-კუპონი (თანაფარდობა 1—4-თან), საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1993 წლის 17 სექტემბრისთვის 1000 უკრაინული კარბოვანეცი უტოლდებოდა 969 ქართულ კუპონს. სადღეისოდ 1 კარბოვანეცი 5,5 კუპონის ტოლია. ესე იგი კუპონი თავის „მეგობარ“ კარბოვანეცთან შედარებით ექვსთვენახევარში 5,7 ჯერ გაუფასურდა. სომხეთმა 1993 წლის დეკემბრიდან ეროვნული დრამის შემოღებასთან დაკავშირებით სხვა ვალუტის მიმოქცევისათვის სასჯელის ზომაც კი დააწესა, მაგრამ დაუსაქონლებელი დრამის საქმეც დრამატულად წარიმართა — სამ თვეში მისი კურსი 24,3-ჯერ დაეცა. სწორედ ამიტომ იყო, რომ სომხეთის დელეგაცია ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ეს შეხვედრა. ჩემი აზრით, მათი ეროვნული ეკონომიკის მომავალს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის ორიენტაცია განსაზღვრავს. ეს კი ჩვენთვის მრავალმნიშვნელოვნად არის გასათვალისწინებელი.

წლევანდელი 1 მარტის მდგომარეობით თანამეგობრობის ქვეყნების ფულის კურსი რუსულ მანეთთან მიმართებაში შემდეგ სურათს იძლეოდა: 1 უკრაინული კარბოვანეცი ტოლი იყო — 4,4 კაპიკის, ბელარუსის 1 საანგარიშსწორებო მანეთი — 36 კაპიკის, ყაზახსტანური თენგი — 12 მანეთის, უზბეკისტანური საანგარიშსწორებო მანეთი—30 კაპიკს, აზერბაიჯანული მანეთი — 4 მანეთის, სომხური დრამი — 7,4 მანეთის, ყირგიზსტანული სომი — 145 მანეთის, მოლდავის ლეი — 415 მანეთის, თურქმენისტანული მანათი — 601 მანეთის, ქართული კუპონი — 0,6 კაპიკის (დღეისათვის 6 კუპონი უდრის — 0,2 კაპიკს). როგორც ჩანს ყველაზე გაუფასურებული ქართული კუპონია. ამასთან ინფლაციის ტემპი სულ უფრო მატულობს. ვფიქრობ, ეს პრობლემა საქართველოსათვის უპირველესთაგანია. თანამეგობრობაში ფულადი კურსის ასეთი დიდი სხვადასხვაობის გამო ძალზე ძნელი იქნება ერთიანი სამანეთო სივრცის შექმნა. ცხრა რესპუბლიკაში ეროვნული ვალუტის გაუქმებამ კი შეიძლება დიდი წინააღმდეგობები წარმოშვას. რჩება ერთადერთი გზა, ეკონომიკურ კავშირში მანეთის საანგარიშსწორებო ერთეულად შემოღება.

თანამეგობრობის ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის აუცილებელი ატრიბუტებია ეკონომიკური კავშირების აღდგენა, ერთიანი საანგარიშსწორებო სისტემის შემოღება. ეს არის საქართველოსთვის კრიზისიდან თავის დაღწევისა და გადარჩენის უმოკლესი გზა. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოეთის ქვეყნების კრედიტებს, მარტო იმათ იმედად დარჩენა არ ივარგებს. მრავალგზის შეპირების მიუხედავად ქარ-ბი პროდუქციის გარდა იშვიათად თუ ვინმე გვაძლევს სამრეწველო, სამშენებლო და სხვა სახის მოწყობილობა-დანადგარებს. ამდენი უცხოური კრედიტომანიის პირობებში არ მოხერხდა თუნდაც ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის პლასტმასის ბოთლების ქარხნის აგება (მინერალური და სასმელი წყლების ექსპორტის მიზნით). ვშიშობ, კრედიტების აღებით უფრო მეტად არ დავკარგოთ ეკონომიკური სუვერენიტეტი. ვალები, ჩვენმა შვილებმა ხომ უნდა გაისტუმრონ, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო უმუშევართა მხრივ პროცენტულად თანამეგობრობაში პირველ ადგილზეა: შარშანდელი 11 თვის მონაცემებით საქართველოში აღრიცხული იყო 162,4 ათასი უმუშევარი, ანუ მოსახლეობის 3 პროცენტი, რუსეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 0,5 პროცენტს, აზერბაიჯანში — 0,3, ბელარუსში — 0,7, ყაზახსტანში — 0,2, ყირგიზსტანში — 0,06; მოლდოვაში — 0,3, ტაჯიკისტანში — 0,4, უზბეკისტანში — 0,06, უკრაინაში — 0,2, სომხეთში — 2,8 პროცენტს. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საქართველოში სულ უფრო იზრდება ლტოლვილების რიცხვი.

ჩვენ მაინც სხვისი იმედი გვაქ რატომღაც არ ვითვალისწინებთ ჯ. მეტლოკის ნათქვამს: „ძალიან ნაც რომ სურდეთ, ამერიკელებმა არ იციან სახელმწიფო ეკონომიკის მართვა და არ ძალუძთ ხელის წაშველება“ და ზ. ბჟეზინსკის აზრს... „არ არის პოლიტიკური ერთიანობა და თანმიმდევრობა“. ასეთ პირობებში უცხოელები კაპიტალს ჩვენში ჯერ ვერ დააბანდებენ. ასეთია ეკონომიკური სინამდვილე იმ აკვიატებული პოლიტიკური ეჭვების ფონზე, რომლის გამო ვერა და ვერ დავდექით ერთ „პლატფორმაზე“.

პეტერბურგიდან გამთენიისას ჩამოვფრინდით. ყველანი ერთ ავტობუსში მოვთავსდით: პარლამენტის სპიკერი, დეპუტატები, ექსპერტები და ცალკეული მგზავრებიც. ავტობუსი პარლამენტისკენ გამოემართა. თითოეულ ჩვენგანის ფიქრი საქართველო ოჯახს, სამსახურს სწვდებოდა. ორი საუკუნის წინათ გადებულ ხიდის მეშვეობით პეტერბურგელ მეგობრებამდეც აღწევდა. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე (ბუ ბით ეროვნული ტრადიციებ მოყვარულს) ღრმად მწამს — ხიდის მოშლა ეროვნული და შაულია. ამ გზით ჩვენმა შვილ მა მსოფლიო უნდა მოიარონ.

ვაჟა ბერი

საქართველოს საპარლამენ დელეგაციის ექსპერტი, ნისტრთა კაბინეტის წამყ სახელმწიფო მრჩეველი, ე ნომიკის მეცნიერებათა დიდატი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 60 მილიონ ტონა ცხიმეულს აწარმოებენ, აქედან მხოლოდ 6 მილიონი ტონა არის ცხოველური წარმოშობის, დანარჩენი 54 მილიონი ტონა მცენარეული წარმოშობისაა და აქედან 60-65 პროცენტი სოიაზე მოდის, ამერიკამ რომ უარი თქვას სოიის კულტურაზე, ეს მისთვის კატასტროფას ნიშნავს, ისეთი ადგილი დაიკავა ამ კულტურამ ამერიკელთა ეკონომიკასა და ყოფაში. საქართველო თითქოს ამისთვისაა გაჩენილი თავისი კლიმატით, თავისი გამოცდილებით.

ედუარდ შევარდნაძე —
25 აპრილის რადიოინტერვიუდან

უხორცო ხორცი, ურძეო რძე

სოიამ თავი დაგვიკრა

სოია — ბალახოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა, რომლის სამშობლოა ჩინეთი, საკვები და სიდერალური კულტურაა, იგი მოჰყავთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ჩვენთან მისი მრავალი ჯიშია გავრცელებული.

ქართული ენციკლოპედია

ნათქვამია, გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. იყო დრო, საქართველოში სოიისკენ არავინ იყურებოდა (ხორციცა და რძის პროდუქტებიც თავსაყრელად გვქონდა), საზოგადოებრივ მეურნეობებში კი მოჰყავდათ, მაგრამ მას მხოლოდ პირუტყვის საკვებად თუ იყენებდნენ. ახლა დრო შეიცვალა, ეკონომიკა დაგვიუძლურდა, შიმშილმა შემოგვიქროლა და სოიამაც მაშინვე თავი დაგვიკრა...

ასეთი შესავალი არ გაუკეთებიათ შეხვედრის მონაწილეებს, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოეწყო, მაგრამ ტკივილები და პრობლემები, იქ რომ წამოიჭრა, ამაზე აშკარად მიგვანიშნებდნენ, შეხვედრაზე მოწვეულმა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, პრაქტიკოსებმა, მინისტრებმა არა ერთი პრობლემა და საკითხი წამოსწიეს, რომელთა გადაწყვეტა მწვანე გზას გაუხსნის ჩვენში სოიის კულტურის ფართოდ დანერგვას, მის სამრეწველო გადამუშავებას და საკვები პროდუქტების მრავალფეროვანი ასორტიმენტის შექმნას.

ამის შესაძლებლობები კი სოიას, მართლაც რომ, ამოუწურავი აქვს. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, სოია თავისი შემცველობით უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, კვებისთვის საჭირო უამრავ ნივთიერებას შეიცავს, ცილებითა და ბიოლოგიური აქტიურობით კი კონკურენტი არა ჰყავს. კილოგრამი სოიის ფქვილი ცილების შემცველობით 3 კილოგრამ საქონლის ხორცს, 2 კილოგრამ ხაჭოს, 3 კილოგრამ პურს, 80 კვერცხსა და 64 ჭიქა რძეს უტოლდება.

ეს, ეტყობა, კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც. თითქმის საუკუნის წინათ, 1899 წელს, ქუთაისში მოეწყო გამოფენა, სადაც გამოტანილი ჰქონდათ სოიისგან დამზადებული ფქვილი, პური, ნამცხვარი და ყავა. იმხანად თურმე ზესტაფონში მუშაობდა ქარხანა, რომელიც სოიის ყავას უშვებდა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოდან 1909-1913 წლებში ყოველწლიურად საზღვარგარეთ 10 ათასი ფუთი სოია გაჰქონდათ. მიჰქონდა იმას, ვინც მისი ფასი კარგად იცოდა.

სოიის ეს ფასი რომ ქართველ კაცს დღემდე არ დავიწყებია, კარგად იგრძნობოდა მიწათმოქმედების ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზებსა და ლაბორატორიებში, შეხვედრის მონაწილეებმა ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე რომ დაათვალიერეს. სახელმწიფოს მეთაურს საქართველოში გამოყვანილი სოიის პერსპექტიული ჯიშების, მოსავლის, მისგან დამზადებული კვების პროდუქტების შესახებ განმარტებას აძლევდნენ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი ჯუმბერ პატიაშვილი, გენეტიკა-სელექციის განყოფილების კონსულტანტი პროფესორი სერგო თედორაძე, სხვა სელექციონერები. სწორედ მათგან შევიტყვეთ, რომ თურმე სოიის გადამუშავებით ბევრ ქვეყანაში 400-მდე საკვებ პროდუქტს იღებენ, რომ მისი მარცვალი ნედლეულის სახით შეიცავს 25 პროცენტ ცხიმს, 45 პროცენტ ცილას და 25 პროცენტ ნახშირწყლებს.

სოიის ფართომასშტაბიან წარმოებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მიწათმოქმედების ინსტიტუტში მისგან უკვე 30 დასახელების პროდუქტებს იღებენ. ინსტიტუტთან არსებობს ფირმა „სოია", რომლის პრეზიდენტია ახალგაზრდა აგროინჟინერი ლევან ბერაია.

ვისარგებლეთ შემთხვევით და ვიდრე მოწვეულნი ინსტიტუტის მიღწევებს ეცნობოდნენ, პრეზიდენტს გავესაუბრეთ.

— ამ საქმის ინტერესი, — გვითხრა მან, — მამამ გამიღვივა. სოიისგან პრიმიტიული ხერხით რძე პირველად ოჯახში მივიღეთ, თუმცა მას მარტო ფერი ჰქონდა რძისა, თორემ გემოც და სუნიც არ მოგეწონებოდათ. გამოხდა ხანი, და ჩემი სურვილი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს გავუზიარე. მომიწონა, საკუთარი მოსაზრებებიც გამიზიარა და თავისი ავტორიტეტითა და გამოცდილებით მხარში ამომიდგა. გვერდში დამიდგა ინსტიტუტის საწარმოო ბაზის დირექტორი ავთანდილ მუქლაძეც.

ეს ყველაფერი სამი წლის წინათ დაიწყო. შევიძინეთ დანადგარები, მოვაწყვეთ ლაბორატორია. პირველად რძე მივიღეთ, რომლისგანაც მაწონი შევადედეთ, შემდეგ ყავა გავაკეთეთ, ხორცის შემცვლელი ფარშიც დავამზადეთ და ასე თანდათანობით გადავედით საწარმოო რელსებზე. ამ ეტაპზე უკვე საჭირო გახდა კორპორაციის შექმნა, რომელიც იზრუნებდა სოიის მარცვლით მომარაგებასა და სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე. ამ მიზნით შეიქმნა „ტერაბლოკი ივერია", რომლის პრეზიდენტია ზაურ პაპიძე. იგი მთელი ძალისხმევით არის ჩართული საქმეში და ცდილობს, რომ ვიდრე რესპუბლიკაში სოიის საკმარის მოსავალს მიიღებდნენ, მარცვალი გარედან შემოიტანოს.

ბოლო დროს თბილისის რძისა (დიდუბის) და შოკოლადის („მზიური") საწარმოებთან ვთანამშრომლობთ და წარმატებითაც. რძის ქარხანაში ვამზადებთ სოიის ფარშს, „მზიურში" კი შოკოლადს, რომლებზეც დედაქალაქში დიდი მოთხოვნილებაა და კარგადაც იყიდება. სარეალიზაციოდ გაგვაქვს სოიის ყავაც, რომელიც კოფეინს არ შეიცავს და ორგანიზმისთვის დიდად სასარგებლოა. ვიწყებთ რძისა და მაიონეზის წარმოებასაც, სეზონის დადგომისთანავე რძის ქარხანა დაამზადებს ნაყინს.

— ხალხს ხომ არ ექვირება პროდუქცია?

— არა. კილოგრამი სოიის ფარში დღემდე 400 ათასი კუპონი ღირდა. ახლანდელი ინფლაციის პირობებში ეს არც თუ ძვირია. დილით რომ მაღაზიაში 400 კილოგრამი ფარში შეგვიტანია, საღამომდე გრამიც აღარ დარჩენილა გაუყიდავი.

— ეს დედაქალაქში, მაგრამ პერიფერიებში თუ გადის თქვენი პროდუქცია?

— ამაზეც ვზრუნავთ. დასავლეთ საქართველოში გვინდა გავხსნათ ფირმა „სოიას" ფილიალები (ქუთაისში, სენაკში, ზუგდიდში და სხვ), რომლებიც მოსახლეობას ჩვენს მიერ დამზადებულ პროდუქციას მიაწვდიან. რა თქმა უნდა, სიძნელეები შეგვხვდება, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს მოვაგვარებთ.

ასე რომ, პრეზიდენტი ოპტიმისტურად არის განწყობილი, თუმცა მოსაგვარებელი და გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ამათგან უმთავრესია რესპუბლიკის სოიის მარცვლით უზრუნველყოფა. ამ პრობლემის სიმძიმე რომ წარმოვიდგინოთ, ციფრებს მოვიშველიებთ.

1931-1940 წლებში რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობაში სოია საშუალოდ 45 ათას ჰექტარზე ითესებოდა. დასავლეთ საქართველოში იგი მოჰყავდათ როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად მეურნეობებში. შემდგომ პერიოდში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების უპირატესი განვითარების პოლიტიკამ სოია სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან თანდათანობით გამოდევნა. 1981-1985 წლებში სოია რესპუბლიკაში საშუალოდ 17,4 ათას ჰექტარზე ითესებოდა, საიდანაც 4,7 ათასი ტონა მარცვალი იწარმოებოდა.

ბოლო წლებში ისიც აღარ შემოგვრჩა. 1992 წელს ნათესი 1,8 ათასი ჰექტარიდან მოსავალი 941 ჰექტარზე აიღეს, აწარმოეს 820 ტონა სოიის მარცვალი, საიდანაც სახელმწიფო რესურსებში მხოლოდ 51 ტონა მოექცა. წლეულს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეურნეობაში სოია 70 ჰექტარზე დაითესება. ვარაუდობენ, რომ მიიღებენ 50 ტონა მარცვალს, რომელიც უზრუნველყოფს 700 ჰექტარის დათესვას.

შექმნილი არასასურველი სურათი კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის გამოსვლაში.

—საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, — თქვა მან, — განსაკუთრებით კი მიწის პრივატიზაციამ დიდად შეუშალა ხელი მარცვლეულით რესპუბლიკის უზრუნველყოფას. ჩვენ, რა თქმა უნდა, რეფორმის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ის გზა, ჩვენ რომ ავირჩიეთ, სამწუხაროდ, მეურნეობის დამანგრეველი აღმოჩნდა. არასწორი იყო იმ სახელმწიფო მეურნეობებისა და საცდელი სადგურების მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემა, მეთესლეობის განვითარების საქმეს რომ ემსახურებოდნენ. ამან დიდად დააზარალა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, მათ შორის ჩვენი ინსტიტუტიც. თუმცა ჩვენ არ შევჩერებულვართ — ვეძებთ გზებსა და საშუალებებს, ელიტური მეთესლეობის განვითარებას ჩიხიდან რომ გამოიყვანს.

ამასთან გადაჯაჭვულია სოიის პრობლემაც. იყო დრო, როცა საქართველოში ამ კულტურას დიდი ფართობები ეკავა და მოსახლეობაც მისით საკმაოდ დაინტერესებული იყო. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ხელთ შემოგვრჩა დღევანდელი ყოფა, — უკიდურესი გაჭირვება, როცა ადამიანმა აღარ იცის, რით შეავსოს ცხოველური ცილების დანაკლისი. მარტო ჰუმანური დახმარებით შემოსული პროდუქტები ვერ გვიშველის, თუ ჩვენც რაიმე გზას არ დავადექით. ამ გზაზე სოიას ბევრი სიკეთის გაწევა შეუძლია. ამიტომ ვცდილობთ, რაც თესლი გვაქვს, გონივრულად გამოვიყენოთ ამ კულტურის გასამრავლებლად, წარმოების გასაფართოებლად და მოსავლიანობის გასადიდებლად, მაგრამ ვიდრე ამას მივაღწევდეთ, დავიწყეთ რუსეთიდან სოიის მარცვლის შემოტანა (რა თქმა უნდა, ძვირად) და გადამუშავება. თუ რა შედეგს ვაღწევთ, ეს თქვენი თვალითაც ნახეთ.

წარმატების იმედს გვაძლევს აგრეთვე ბევრი საზღვარგარეთელი ბიზნესმენის ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. ამის პარალელურად ვამყარებთ კავშირებს დაწესებულებებთან, რომლებიც ადრე სოიის კულტურაზე მუშაობდნენ. ასეთი ურთიერთობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მეცნიერთან, ქალბატონ ლია ბოკუჩავასთან. იგი გვეხმარება სოიისგან მივიღოთ ისეთი პროდუქცია, როგორსაც ჩინეთში ღებულობენ. რადგან უცხოელი ინვესტორები თავს იკავებენ სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაზე, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ კერძო სტრუქტურების განვითარებისთვისაც. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სოიის გადამუშავებაში ამერიკელთა და ჩინელთა მიერ დანერგილი საკმაოდ კარგი ტექნოლოგიები ჩვენთანაც გამოვიყენოთ. რეალურია რაფსიდან ზეთის მიღებაც.

თუმცა არარეალურია პროგრამა, რომელიც დღეისათვის არის შემუშავებული. ამჟამად ვერც სახელმწიფო გამოჰყოფს 20 ათას ჰექტარს სოიისთვის და არც საამისოდ საკმარისი სათესლე მასალა გვაქვს. თუ გვინდა პროგრამა შესრულდეს, ის რეალურიც უნდა იყოს.

ამის პარალელურად წამოიჭრა სხვა პრობლემაც, მართალია, ფირმა „სოიას" სპეციალისტებმა დაამუშავეს და წარმატებითაც აითვისეს სოიისგან ტრადიციული და არატრადიციული პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია, მაგრამ მასობრივი წარმოებისთვის სოიის გადამამუშავებელი ქარხანაა აუცილებელი. ქარხნის მოწყობას ფული სჭირდება, რაც არც მიწათმოქმედების ინსტიტუტს აქვს და არც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს. ტექნოლოგიური ხაზი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაუკვეთეს სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტს. იმედს არ კარგავენ, რომ როდისმე შეიძენენ (თუ კრედიტი გამოუყვეს), დაამონტაჟებენ და საკმაო მოგებასაც მიიღებენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის კონკრეტული ვარიანტები წამოაყენეს. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.

თენგიზ ცინცაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ტექნოლოგიის ლაბორატორიის გამგე) — სოიაზე სერიოზული მუშაობა ჯერ კიდევ 17 წლის წინათ დავიწყე, მაშინ, როცა ამერიკაში გამგზავნეს გამოცდილების შესასწავლად. მას მერე არც თუ ურიგო შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ იმის გამო, რომ ლაბორატორიას არა აქვს საწარმოო ბაზა (მისი შექმნა კი აუცილებელია), მუშაობა ფერხდება. დღეს მწვავედ დგას სოიის ნედლეულის პრობლემა, მაგრამ შეიძლება შევიმუშაოთ ისეთი ტექნოლოგია, რომელიც არ საჭიროებს სოიის თესლსა და მიწის ფართობს.

ოთარ კვესიტაძე (სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი) —ბატონ თამაზ ცინცაძეს აქვს ლაბორატორიული მიღწევები, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის ჯერ მზად არა ვართ. სხვა ამბავია სოიას წარმოება და გადამუშავება, რასაც მხარი უნდა დავუჭიროთ. მართალია, ჩვენ დღეს ვერ შევძლებთ მისი დიდი რაოდენობით მიღებას, მაგრამ ის მაინც უნდა შევიძინოთ და გადავამუშაოთ. ეს კი შეიძლება ისე გავაკეთოთ, რომ საკმაო მოგებაც მივიღოთ.

ავთანდილ მარგიანი (საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი) — უკვე დავიწყეთ სოიის თესლის შემოტანისთვის სამზადისი. ამ დღეებში ველოდებით თურქეთის წარმომადგენელს და თესლის საქმეც რეალურად გადაწყდება. სოიასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ რაფსის წარმოებისთვისაც, რასაც ჩვენში კარგი მომავალი აქვს.

ავთანდილ კორახაშვილი (აგრარული უნივერსიტეტის კვების მრეწველობისა და მეცხოველეობის კათედრის გამგე) — ძნელია დაეთანხმო გამომსვლელებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სოიის საკმარისი ოდენობით მოყვანა. ჩვენ საქმიანი კონტაქტები გვაქვს ამერიკასთან, შევქმენით ტექნოლოგია, რომელიც უკვე სამმა ქვეყანამ შეიძინა. საქართველოში სოიის საჭირო მოსავალს მივიღებთ, თუ ფართობებს გამოვყოფთ და მარცვლის ასაღებ ტექნიკას შევიძენთ. აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ვამუშაოთ ამერიკული, ხოლო დასავლეთში — გერმანული კომბაინები.

ზურაბ კერვალიშვილი (საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი) — დღეს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კვების პროდუქტების წარმოებას, ვიდრე ფოლადის გამოდნობას და მილების გამოშვებას. ვფიქრობ, უნდა შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც კვების პროდუქტების გადამუშავებას მიხედავს. მრეწველობა მზად არის გვერდში ამოუდგეს სოფლის მეურნეობას. მან კვების პროდუქტების წარმოებისთვის ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის თანხები უნდა გამოჰყოს. უნდა ვიზრუნოთ ამ დარგში მეცნიერული პროგრამების დაფინანსებისთვისაც.

შეხვედრას მაღალი შეფასება მისცა ბატონმა **ედუარდ შევარდნაძემ.** მან თქვა, რომ მეცნიერთა და წარმოების სპეციალისტთა ასეთი შეხვედრები ფრიად სასარგებლოა და პრაქტიკაში უნდა დაინერგოს. არ არის სწორი იმაზე ლაპარაკი, თითქოს ქვეყანა დაღუპულია, საქართველო განწირულია შიმშილისთვის. ამ შეხვედრაზეც ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ მდიდარი რესურსების ქვეყანა ვართ. ერთ-ერთი ასეთი რესურსია სოია, რომლის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს. ამ დარგში უნდა გაიშალოს მეცნიერული კვლევაც.

აქ სწორად დაისვა საკითხი, რომ დღეს საქართველოში სოია დიდ ფართობებზე ვერ დაითესება, ამას პრაქტიკულად ვერ შევძლებთ. მაგრამ ახლავე უნდა მივხედოთ სოიის მოსავლის ზრდას, წარმოებას და კვების პროდუქტებად გადამუშავებას. თუ გაჩნდება მათი მომხმარებელი, ეს უდიდესი სტიმული იქნება წარმოების განვითარებისთვის. საზღვარგარეთიდან უნდა შემოვიტანოთ დანადგარები, ტექნოლოგიები. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ უცხოური ინვესტიციებიც და საკუთარი სახსრებიც. შეიძლება შევიძინოთ ნედლეულიც, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ სოიის ადგილობრივ მწარმოებელზეც, მის წახალისებაზე, თუ გლეხობა დაინახავს, რომ ეს კულტურა მომგებიანია, იგი უეჭველად მოკიდებს ხელს მის წარმოებას.

სახელმწიფოს მეთაურს მიაჩნია, რომ თუ კი გაჩნდება დარგში წარმოების ჩანასახები, შეიძლება შეიქმნას უცხოელებთან ერთობლივი საწარმოებიც. თუ ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდებთ ხელს, ორ-სამ წელიწადში შედეგებიც გვექნება. პირველი შედეგი კი წელსვე უნდა გამოჩნდეს. საქმეში უნდა ჩავრთოთ კერძო ბიზნესი. როგორც კი გაჩნდება კერძო მესაკუთრე, გაჩნდება ინტერესიც.

სოიის შემდეგ უნდა მივხედოთ რაფსის კულტურას. მისი განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს დიდი რაოდენობით ვაწარმოოთ მცენარეული ზეთები. მივესალმები იმათ, ვინც შაქრის პრობლემებზე მუშაობს. ჩვენ მას ყოველთვის საზღვარგარეთიდან ვერ შემოვიტანთ. ამიტომ შაქრისა და რაფსის პრობლემა სახელმწიფო პროგრამის დონეზე უნდა დამუშავდეს.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაციის მტკივნეულ პრობლემას. თქვა, რომ უნდა ვიზრუნოთ ქართული მეცნიერების გადარჩენისთვის. თავის მხრივ მეცნიერება უნდა დაინტერესდეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, მიაღწიოს იმას, რომ პროდუქციას ვღებულობდეთ რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ამ დღეებში მინისტრთა კაბინეტი განიხილავს სოიის მოყვანის, წარმოებისა და გადამუშავების პროგრამას, რაშიც მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოს მეთაური. პროგრამის რეალიზაცია საქართველოში სოიის კულტურის განვითარების მყარ გარანტიას შექმნის. იგი უნდა მოიცავდეს საიმედო საწარმოო ბაზის შექმნას, თესლების წარმოების სისტემას, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამუშაოთა დაფინანსების პროგრამას. სახსრები, როგორც აქ ითქვა, შეიძლება მივიღოთ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტებიდან.

ამას დრო დასჭირდება. მანამდე კი მიწათმოქმედების ინსტიტუტელებმა სიურპრიზი შემოგვთავაზეს — შეხვედრის მონაწილენი სხდომათა დარბაზიდან სადეგუსტაციო მაგიდასთან მიგვიწვიეს, რომელიც სოიის ფარშისგან დამზადებული კატლეტით, ღვეზელით, პაშტეტით, ბადით, ნამცხვრებით, ლიქიორით, ყავითა და სხვა პროდუქტებით იყო გაწყობილი. ცხვირი არავის აუწევია, ყველანი, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურიც, გემრიელად და გულიანად დავნაყრდით. ამას, რა თქმა უნდა, მარტო ჩვენს გაჭირვებას ვერ დავაბრალებთ (მდიდარ ამერიკაშიც კი ყოველწლიურად 54 მილიონ ტონა მცენარეულ ცხიმებს ამზადებენ, რომლის 60-65 პროცენტი სოიაზე მოდის), უბრალოდ, იმ დღეს სოიამ თავის სიუხვესა და სიკეთეში პრაქტიკულად დაგვარწმუნა.

საქართველოში უხორცო ხორცისა და ურძეო რძის წარმოება რეალურად დაიწყო. ახლა მთავარია, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივყვეთ (რაც, სამწუხაროდ, ქართველებს ყველაზე ძალიან გვიჭირს) და ჩვენს სასიკეთოდ დავაგვირგვინოთ.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
ოთარ ხუციშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დუდაევი ოფიციალურ პრეზიდენტად

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს უნდა შევთავაზოთ ცნოს ჯოხარ დუდაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პრეზიდენტად და აწარმოოს მასთან მოლაპარაკება", — მიაჩნია ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ შუმეიკოს. გაზეთ „ტრუდისათვის" ინტერვიუში იგი ამბობს, რომ სახალხო დეპუტატთა ყოფილი ყრილობის დადგენილებამ პრეზიდენტ დუდაევის არჩევნები ბათილად გამოაცხადა.

„გარკვეული პოლიტიკური ნება უნდა გამოიჩინოს არა მარტო რუსეთის მხარემ. პრეზიდენტმა დუდაევმა უნდა აღიაროს, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტია. როგორც კი ამას აღიარებს, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება", — განაცხადა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის მეთაურმა.

„ვფიქრობ, ახლანდელ ლიდერებთან ან უიმათოდ ეს პროცესი აუცილებლად დამთავრდება. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ ფედერაციის საბჭოს დარბაზში ვნახავთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებს. უიმათოდ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მთლიანია სახელმწიფო, რუსეთი, რომ იგი ისეთია, როგორიც უნდა იყოს", — ხაზი გაუსვა მან.

აღმართეს ახალი სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო დროშა

თითქმის შუაღამე იყო, 27 აპრილის დადგომამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა, და იოჰანესბურგის „სივიკ ცენტრის" უზარმაზარი არქიტექტურული კომპლექსის წინ გაერთიანებულმა ორკესტრმა შეასრულა ახალი სამხრეთ აფრიკის ორი ოფიციალური ჰიმნი. მათ საზეიმო ხმებში დაუშვეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დროშა და აღმართეს დემოკრატიული, არარასობრივი სამხრეთ აფრიკის ალამი.

ოთხშაბათს ნოლ საათზე ამოქმედდა ქვეყნის ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი გადასვლა ნამდვილად დემოკრატიულ მართვა-გამგეობაზე.

ძალიან ემოციური განცხადება გააკეთა აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ. „ოჰ, როგორ მინდა ცოცხლები იყვნენ ოლივერ ტამბო, კრის ჰანი, იოსუფ დადუ, სხვა გმირები, რომლებიც ვერ მოესწრნენ დღევანდელ დღეს, რათა ერთად აღგვენიშნა დიადი გამარჯვება ბრძოლაში, რვა ათწლეულს რომ გრძელდებოდა", — თქვა მან. აქ შეკრებილმა ათასობით ადამიანმა სულ სხვადასხვაგვარად აღიქვა ეს მოვლენა. ზოგიერთი ვერ მალავდა ცრემლებს. უმრავლესობა კი ზეიმობდა. წარსულს ჩაბარდა აპარტეიდის სამხრეთ აფრიკა, მის ნანგრევებზე იშვა პრინციპულად ახალი სახელმწიფო, რომელმაც იკისრა ვალდებულება მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს დემოკრატიასა და პროგრესს.

დადგა სამხრეთ აფრიკის ახალი დღე. დღე, რომელიც ქვეყნისა და მისი ხალხისათვის ახალი ეპოქის დაწყებას მოასწავებს.

მოსალოდნელია პრეზიდენტ ელცინის ვიზიტი უკრაინაში

დაისვა საკითხი უკრაინაში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც ნავარაუდევია დაიდოს დიდმასშტაბიანი ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა იური დუბინინმა.

როგორც იური დუბინინმა იტარ-ტასის კორესპონდენტს განუმარტა, მორიგება ამის თაობაზე მიღწეული იყო მოსკოვში, 15 აპრილს, ბორის ელცინისა და ლეონიდ კრავჩუკის შეხვედრის დროს. ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, თქვა დიპლომატმა.

სიტუაცია გორაჟდეს გარშემო

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს უორენ კრისტოფერს მიაჩნია, რომ სიტუაცია გორაჟდეს გარშემო სწორი მიმართულებით ვითარდება. ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე ანდრეი კოზირევთან შეხვედრის შემდეგ მან განაცხადა: „უკანასკნელ ჟამს მიღებულ მოხსენებათა თანახმად სიტუაცია სწორი მიმართულებით ვითარდება. მძიმე შეიარაღება გააქვთ 20-კილომეტრიანი ზონის პერიმეტრისაკენ. როგორც მან თქვა, ნატოს ულტიმატუმის დაცვა, შეიძლება შეამოწმონ მხოლოდ ოთხშაბათს საჰაერო კონტროლის ძალებმა, აგრეთვე შემოწმდეს აეროფოტოგადაღების მეშვეობით.

კვლავ შავი ზღვის ფლოტის შესახებ...

ყირიმის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იური მეშკოვმა, შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა ედუარდ ბალტინმა და სევასტოპოლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ვიქტორ სემიონოვმა რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს მოსთხოვეს განაახლონ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკება შავი ზღვის ფლოტის შესახებ, როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს ტელეფონით შავი ზღვის ფლოტის პრესცენტრში აცნობეს, მათ დიდი სინანული და შეშფოთება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიშალა რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკება შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პრობლემის თაობაზე, და მიაჩნიათ, რომ „ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისა და უკრაინის პრეზიდენტის პოსტისათვის ხდება ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მოლაპარაკების პროცესი შავი ზღვის ფლოტის პრობლემებზე სამხედრო კონფლიქტად აქციოს". უკრაინის სახელმწიფოებრიობის შესაძლო დაშლისათვის პასუხისმგებლობა ცდილობენ დააკისრონ ყირიმის რესპუბლიკას და მკაცრად დასაჯონ იგი ამისთვის. სულაც არ იქნება პრობლემა პროვოკაციების მეშვეობით შექმნან არასტაბილური სიტუაცია რესპუბლიკაში და, ისარგებლებენ რა ამით, შემოიღონ საგანგებო ვითარების რეჟიმი, ომის ზღვარზე დააყენონ რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობა, ამტკიცებენ განცხადების ავტორები.

უორენ კრისტოფერი: რუსეთი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს

მიმდინარე წლიდან რუსეთი შეძლებს უფრო აქტიურად ჩაება პოლიტიკურ დისკუსიებში დასავლეთის შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის თათბირებზე. ეს განაცხადა სამშაბათ საღამოს ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა.

პროცედურული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხება „შვიდეულის" მორიგ შეხვედრას, და რომელიც წლეულს ზაფხულში ნეაპოლში გაიმართება, თქვა მან, იტალიის, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის პრეროგატივაა, მაგრამ გულდაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პოლიტიკურ დისკუსიებში. **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ამ სხდომის მომზადებაში.**

კვლავაც არის საშიშროების წყარო

ჩერნობილის კატასტროფიდან რვა წლის შემდეგ სიტუაცია ამ ატომურ სადგურში კვლავ გამწვავდა — ასეთი აზრი გამოიტანეს ბონში მოწყობილობისა და ბირთვული რეაქტორების უსაფრთხოების საზოგადოების ექსპერტებმა. მათი მონაცემებით რეაქტორის დამცავი გარსი „სერიოზულ საფრთხეს შეიცავს". „სარკოფაგის" ფუნდამენტის ნაწილი დაჯდა, მისი ლითონის სახურავმა კი შეიძლება ნებისმიერ წუთში ვეღარ გაუძლოს დიდ დატვირთვებს, რომლებიც წარმოიქმნება, მაგალითად, ძლიერი ქარის ან დიდი თოვის დროს.

ამავე დროს, აღნიშნეს ექსპერტებმა, თუმცა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მოითხოვს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებას, მაგრამ სადგურს დატვირთვიდან გამოიყვანენ მხოლოდ 2000 წლისათვის, რადგან უკრაინა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბირთვულ ენერგეტიკაზე. ამიტომ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის გაჩერება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ამოქმედდება ოთხი ახალი რეაქტორი.

„მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ძირითადი პრინციპები

„პარტნიორობა, უწინარეს ყოვლისა, მაშინ არის, როცა არ ატყუებენ და არ ღალატობენ ერთმანეთს, როცა ითვალისწინებენ პარტნიორთა ინტერესებს და არა მარტო პირადს, როცა არ ცდილობენ საკუთარი „მე" სხვაზე უფრო მაღლა დააყენონ, როცა თანასწორუფლებიან საფუძველზე ჭეშმარიტი პარტნიორობის პროცესში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე. სწორედ ეს არის „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის პრინციპები, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსეთის სამხედრო უწყების მეთაურს მიაჩნია, რომ მეტისმეტი რეკლამა გაუწიეთ ნატოს „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამას, თუმცა კონკრეტულად ამ პროგრამის შემქმნელებს ჯერაც არ წამოუყენებიათ მისი დაწყებითი პრინციპები და ღონისძიებანი. ამავე დროს, თქვა პაველ გრაჩოვმა, ამ თემაზე უკვე დაიწერა ასობით სამეცნიერო ნაშრომი, გაიმართა ათასობით სიმპოზიუმი, დაიხარჯა მილიონობით სახსრები სხვადასხვა მოგზაურობისათვის.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„საისტორიო მოამბის" ახალი ნომერი



გამოვიდა საჭირო და საინტერესო კრებული „საისტორიო მოამბე", რომელიც მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავს. კრებული მოიცავს ქართველი ხალხის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს. მასში დოკუმენტური მასალებით არის გადმოცემული ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. დაბეჭდილია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა საინტერესო მასალები.

„საისტორიო მოამბე" აგებულია თემატური პრინციპის მიხედვით და შედგება ორი განყოფილებისაგან: წერილები, სტატიები, საარქივო საქმე — ჩვენი დღევანდელობა...

ახალი ნომრის სარედაქციო კოლეგიამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია ამ საინტერესო კრებულის შესაქმნელად. რედკოლეგიაში შედიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს" თავმჯდომარე ზურაბ მახარაძე, მიხეილ გაფრინდაშვილი, ფელიქს დანელია, პავლე კობერიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი პაიჭაძე, ილია ტაბაღუა, ზურაბ ქვანია, ედიშერ ხოშტარია-ბროსე, რევაზ ხუციშვილი, გურამ შარაძე, სერგო ჯორბენაძე.

ვფიქრობთ, „საისტორიო მოამბით" დაინტერესებულმა ფართო საზოგადოებრიობამ მიიღო კრებული, რომელიც მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ჩვენს სიძველეთა საცავებში დაცულ მასალებზე...

ლელა დონაძე.

გმადლობთ, ქველმოქმედნო!

გორისა და გორის რაიონში 24 უდედმამო ბავშვი იზრდება. ამ დღეებში ობლები მიიწვიეს გამგეობაში, სადაც მათ ერთდროული დახმარება აღმოუჩინეს. „იბერია ბანკის" გორის განყოფილების დირექტორმა ზურაბ ჩიტაიამ თითოეულ მათგანს 100 ათასი კუპონი გადასცა, გორელმა მოქალაქემ ვალიკო დოლიაშვილმა ობლებისათვის 8 მილიონი კუპონი გაიღო.

გამგეობის გადაწყვეტილებით უდედმამო ბავშვებსა და მრავალშვილიან ოჯახებს შეღავათიან ფასებში შეაძინინეს სურსათი და სამრეწველო საქონელი.

გურამ ვაშაკიძე.

მედიცინის სიახლენი

ქართველ იმუნოლოგთა მსოფლიო აღიარება



პროფესორები რევაზ სეფიაშვილი და იური მალაშხია კალიფორნიის ქალაქ ლოს-ანჯელესში, ამერიკის იმუნოლოგთა და ალერგოლოგთა ორმოცდამეათე კონგრესზე იყვნენ მიწვეულნი. ქართველ მეცნიერთა მოხსენებამ — „ადამიანის თავის ტვინი, როგორც იმუნიტეტის ორგანო" — მსოფლიო მეცნიერება დიდად დააინტერესა. კონგრესში მონაწილეობდა 64 ქვეყნის 5 ათასამდე ექიმი, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატები, ბატონები — ჯონ ნოსალი, როს მილერი და სხვა ცნობილი მეცნიერები.

— ჩვენი გამოკვლევები საფუძვლად დაედო რეაბილიტაციის, კერძოდ იმუნორეაბილიტაციის განვითარების ახალ ეტაპს. ეს მეცნიერული აღმოჩენა ნაყოფი იყო იმ დიდი შრომისა, რომელსაც წლების მანძილზე ვძიებდით და ვიკვლევდით. ქართველ მედიკოსთა მეცნიერულმა აღმოჩენამ მსოფლიო მედიცინაში საფუძველი შეუქმნა კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას, — ჩვენთან საუბარში განაცხადა წყალტუბოს კლინიკური იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ნიუ-იორკის აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა **რევაზ სეფიაშვილმა.**

— ბოლო წლებში იმუნოლოგიამ, როგორც მედიცინის ახალმა დარგმა, ძალზე დააინტერესა მეცნიერები. დღეს იმუნოლოგიური კვლევის ახალი მეთოდები ფართოდ ინერგება კლინიკური მედიცინის თითქმის ყველა დარგში.

— მეცნიერებაში ქართველ მედიკოსთა ახალმა სიტყვამ, როგორც ვიცით, რუსეთშიც ჰპოვა აღიარება...

— დიახ, ი. მალაშხიასა და მ. გელაძის ნაშრომმა „ტვინის იმუნური ბარიერი" — რუსეთის მეცნიერებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ნაშრომი ახალ მიღწევად იქნა აღიარებული, რომელიც ამერიკის აკადემიის ჟურნალში გამოქვეყნდა. ბატონ იური მალაშხიას აღმოჩენა საფუძვლად დაედო მსოფლიო მედიცინის ახალ მიმართულებას—კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას. შემდგომ წლებში ბატონ იურისა და ჩემს ერთობლივ ნაშრომს „მეხსიერების ლიმფოპეპტიდი" — ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მეცნიერ-ნეიროიმუნოლოგები გამოეხმაურნენ და 1990 წელს ავსტრალიის იმუნოლოგთა საზოგადოების მეოცე კონგრესზე მიგვიწვიეს. სადისკუსიო მოხსენებამ სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მეცნიერი დააინტერესა და 1991 წელს ამერიკის იმუნოკომპრომისული მკურნალობის საზოგადოების საერთაშორისო სიმპოზიუმზე ამერიკის კოლორადოს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოულდერში მიგვიწვიეს. ჩვენს ნაშრომს საპატიო ჯილდო — „გრანტი" მიეკუთვნა და იმუნოლოგთა საზოგადოების სამეცნიერო ჟურნალში „სიახლენი მედიცინაში" გამოქვეყნდა, რის შემდეგ ბატონმა იურიმ და მე, რუსეთის აკადემიის რამდენიმე წევრთან ერთად კალიფორნიაში, იმუნოლოგთა და ალერგოლოგთა კონგრესში მივიღეთ მონაწილეობა. ამჟამად ბატონი იური მალაშხია არჩეულია ნეირომუნოლოგთა მსოფლიო ასოციაციის, ნეიროფსიქოპერიატრიის სამეცნიერო საზოგადოებისა და ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის წევრად. აქვე მინდა აღვნიშნო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ ნადარეიშვილის წარმატებაც. იგი მეცნიერული ნაშრომებისათვის, ამავე აკადემიის ახალგაზრდა წევრად აირჩიეს, ხოლო მე ნიუ-იორკის აკადემიის წევრი გავხდი. ეს ქართველ მედიკოსთა მსოფლიო აღიარებაა, რაც უფრო მეტს გვავალებს.

— მაგრამ ასეთი მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს ძნელია მარტო საკუთარი ძალებით თავის გართმევა.

— ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებული პირები, რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობენ, გვეხმარებიან. ძირითადად გვაფინანსებს კონგრესებისა და სიმპოზიუმების მსოფლიო საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც ჩვენთვის სპეციალურად გამოყოფენ სამგზავრო და სამეცნიერო-სამივლინებო გრანტებს. მათ, ბატონი იური მალაშხიას უფასოდ გამოუწერეს მსოფლიოში პრესტიჟული სამედიცინო-სამეცნიერო ჟურნალები „ნევროლოგია", „სიახლენი სამედიცინო მეცნიერებაში", „ინტერნაციონალური ფსიქოპერიატრია", მე ჟურნალი „იმუნოლოგია" და საინფორმაციო ბიულეტენები მომდის უცხოეთიდან. მათი ხელშეწყობით დღეს, როგორც ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს, ისე სხვა დაინტერესებულ მედპერსონალს საშუალება გვაქვს ახლო გავეცნოთ მსოფლიოს მეცნიერ-მედიკოსთა უახლეს მიღწევებს.

ამასთან, მინდა მადლობა ვუთხრა ფირმა „ზანი და კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტს ბატონ ავთანდილ თევზაძეს, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მეცნიერ-მედიკოსებს. ფირმამ, თბილისის სამედიცინო აკადემიის ნერვულ სნეულებათა კათედრის ასისტენტ ზურაბ ნადარეიშვილის სამეცნიერო მივლინება ამერიკაში, იტალიასა და გერმანიაში რამდენჯერმე დააფინანსა და სამეცნიერო ჟურნალებიც გამოგვიწერა. ისე რომ, ჩვენ მარტონი არა ვართ...

ნეიროიმუნოლოგიური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა დღეს ქვეყნის მეცნიერების ყურადღების ცენტრშია. როგორც ვიცით, ქართველი მედიკოსები თავიდანვე ჩაებნენ მუშაობაში. 1989 წელს შეიქმნა წყალტუბოს კლინიკური იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ამჟამად რვა განყოფილება მუშაობს.

ჩვენი ინსტიტუტის აღიარებაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ როცა 1992 წლის ივლისში, პირველი ინტერნაციონალური კონფერენცია გაიმართა, იმუნორეაბილიტაციის სამეცნიერო საზოგადოების ადგილსამყოფელ ბაზად ქვეყნის მეცნიერებმა წყალტუბოს ინსტიტუტი აირჩიეს.

წლეულს დაგომისში სწორედ ინსტიტუტის ბაზაზე გაიმართება პირველი იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი უკვე მრავალი ქვეყნის 500-მდე მეცნიერმა გამოთქვა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მსოფლიო მეცნიერებამ ჩვენი ინსტიტუტი აღიარა.

ვიმედოვნებ, რომ წყალტუბოს კვლევითი ინსტიტუტი ამ დიდ წამოწყებასაც ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდება და მსოფლიო ასპარეზზე კვლავ ღირსეულად წარმოჩნდება.

ესაუბრა
ციცანა სიხარულიძე.

ინფორმაცია

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ყველა მსურველი მოიწვია ბიჭვინთასა და გაგრაში დასასვენებლად. აღინიშნა, რომ გაგრაში დამთავრდა ქალაქის პარკის აღდგენითი სამუშაოები. აღდგენილია აგრეთვე სოხუმის მაიმუნსაშენი და ბოტანიკური ბაღი. გამაჯანსაღებელი კომპლექსები მზად არიან მიიღონ 2.500 დამსვენებელი. აქ დასვენების საფასური 20 ათასი მანეთი იქნება.

თბილისი. სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული საინფორმაციო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელმა რამაზ საყვარელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2 დღის შემდეგ გამოცხადდება საინფორმაციო პოლიტიკის ბიუროში აკრედიტაციის ახალი პირობები.

თბილისი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შექმნილია სამართლებრივი რეფორმის კომისია. მის დასაფინანსებლად მინისტრთა კაბინეტმა თანხა გამოყო რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

თბილისი. ქ. რუსთავის ამწეშენებელი ქარხნის მშრომელები მიმდინარე თვიდან ხელფასს რუსულ მანეთებში მიიღებენ.

თბილისი. ქ. თბილისის მერიის გადაანგარიშებით, 1 კაცზე ტრანსპორტის ღირებულება დღეისათვის შეადგენს 12.000 კუპონს. უახლოეს დღეებში მერია მიიღებს დადგენილებას თბილისში საქალაქო ტრანსპორტზე ფასების მოწესრიგების შესახებ.

თბილისი. 27 აპრილს, დაახლოებით 03.00 სთ-ზე თბილისში, შატბერაშვილის ქუჩის № 4 სახლთან იპოვეს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ოთხი ახალგაზრდის გვამი. ისინი აღმოჩნდნენ: კახა ლელაძე — 24 წლის, გიორგი წერეთელი — 27 წლის, ზვიად სალინაძე — 24 წლის, პაატა მომცემლიძე — 23 წლის.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ დედაქალაქის პოლიციის უფროსის დემურ მიქაძის ბრძანებით, ის პირები, რომელთაც 22 აპრილს უკანონოდ დააპატიმრეს ბ. კაკუბავა, დააკავეს, თუმცა ერთი საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

ბ. კაკუბავამ ეჭვი გამოთქვა, რომ საქართველოში გახშირებული ტერორისტული აქტები სწორედ აღნიშნულ პირთა ჯგუფის მიერ არის ჩადენილი.

თბილისი. აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციის ყრილობა, რომელიც ჩაიშალა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარესთან ბ. კაკუბავასთან დაკავშირებული ინციდენტის გამო, გაიმართება თბილისში ა. წ. 7 მაისს.

ტყე ალყაში

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 26 აპრილს 9 საათსა და 30 წუთზე თურქეთიდან მომავალ ავტობუსს, რომელსაც მართავდა თურქი მოქალაქე, ლანჩხუთის რაიონის სოფლების სუფსასა და წყალწმინდას შორის თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული 9 ბოროტმოქმედი. თავდამსხმელებიდან 4 ავიდა ავტობუსში და მგზავრებს (ავტობუსში სულ 11 მგზავრი იყო) მოსთხოვა ფული და საქონელი. ამ დროს ავტობუსს შემოხვდნენ რაიონის საგზაო პოლიციის თანამშრომლები. ავტობუსში მყოფმა ყაჩაღებმა იარაღის მუქარით მძღოლი აიძულეს მგზავრებიანად წასულიყო ნატანების გზით ოზურგეთისაკენ. მათ ავტობუსი შეაყენეს ხუცუბნის ტერიტორიაზე, მძევლად აიყვანეს ორი ქალი და ბუჩუის ტყეს შეაფარეს თავი. ლანჩხუთისა და ოზურგეთის პოლიციის რაიონული განყოფილებების თანამშრომლებმა ალყაში მოაქციეს ტყე. ხორციელდება ღონისძიებები ბოროტმოქმედთა დასაკავებლად.

·ახალი გაზეთი— „გორის მოამბე"

ახლახან გამოვიდა გორისა და გორის რაიონის გამგეობის გაზეთი „გორის მოამბე" (რედაქტორი ზაურ წიქაძე). როგორც მეთაურ წერილშია ნათქვამი, იგი „არ იქნება კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი, სამაგიეროდ ჭირსა და ლხინში გვერდში ამოუდგება ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას, გახდება მისი ერთგული მეკვლე და მეგობარი".

ამჟამად ქართლის მეთაურ ქალაქში ოთხი გაზეთი გამოდის: დამოუკიდებელი „გორი", საყმაწვილო „ყაყაჩო", საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების „ლიტერატურული გორი" და „გორის მოამბე".

პოლიმერები მედიცინისათვის

ახალი სპეციალობა — ბიოსამედიცინო პოლიმერების ტექნოლოგიას აითვისებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტუდენტები. სტუდენტები, რომლებმაც აითვისეს „ბიოპოლიმერების" „კონსტრუირების" საიდუმლოებანი, თავიანთ ცოდნას გამოიყენებენ მცირე ქიმიის საწარმოებში, ქიმიურ-ფარმაცევტულ დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში.

ახალი ბიოპოლიმერების სინთეზი მეცნიერების პერსპექტიული დარგია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა რამაზ ქაცარავამ. — სულ უფრო ფართოდ არის გამოყენებული ისინი მედიცინაში, რადგან აქვთ მთელი რიგი სასარგებლო თვისებები. კერძოდ, დაბალტოქსიკური და იმუნოგენურია. გარდა ამისა ბიოსამედიცინო პოლიმერების ქირურგიული მასალები — სამკურნალო ნივთიერებათა წყალგამხსნელის მატარებლებიც არიან. ახალ ტექნოლოგიათა შექმნის სამუშაოები წარმოებს ბევრ სამეცნიერო ცენტრში საზღვარგარეთ, რომლებთანაც ქართველ მეცნიერებს აქვთ კონტაქტები.

გერმანელ მეგობართა დახმარება

სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს თელაველებისადმი გერმანელ მეგობართა დახმარება. გასული წლის დეკემბერში დაფუძნდა სამარიტელთა თელავის კავშირის ორგანიზაცია, რომელსაც დაძმობილებული ქალაქების ასოციაციის თავმჯდომარე რამაზ ქურციკაშვილი ხელმძღვანელობს.

— ხუთი წლის მანძილზე მჭიდრო, მეგობრული კავშირები დამყარდა თელავსა და გერმანიის ქალაქ ბიბერახს შორის, — თქვა რამაზ ქურციკაშვილმა. — ამჟამად იქ იმყოფება ვოკალურ ინსტრუმენტული ჯგუფი „ლამურები". ამასთან, იგეგმება სხვა შემოქმედებითი კოლექტივების გამგზავრებაც. ბიბერახელები სისტემატურად აგზავნიან ჰუმანიტარულ დახმარებას. მას შემდეგ, რაც ჩვენთან დაფუძნდა სამარიტელთა კავშირი, მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა. სწორედ ამ უძველეს საქველმოქმედო ორგანიზაციის მეშვეობით გახდა შესაძლებელი სათონეების სახლში ყოველდღიურად 70 კაცის გამოკვება. ამჟამად ხელმოკლე და ხანდაზმულ ადამიანთა კიდევ ერთ 200-კაციან ნაკადს მიიღებს კაფე „ბიბერახი".

სამარიტელთა კავშირი დახმარებას გაუწევს რაიონის ჯანდაცვის ქსელს. სასწრაფო სამედიცინო სამსახურისთვის გამოყოფილია მედიკამენტები, სათანადო მოწყობილობა და ავტომანქანა.

ზურაბ არსენიშვილი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

„მათემატიკური ილიადა" გრძელდება...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტმა წლეულსაც შეძლო თითქმის ათწლიანი კარგი ტრადიციის გაგრძელება: გაიმართა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სემინარის მორიგი გაფართოებული სხდომები. ჩვეული გახლდათ ამ მეცნიერული ფორუმის მისადაგება ბატონ ილიას დაბადების დღისადმი, სამი სექციის (ამჯერად — კომპლექსური ანალიზი და მისი გამოყენება, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები) მუშაობა, მონათესავე დაწესებულებების სპეციალისტთა მონაწილეობა, „ძველების" გვერდით ახალ და ახალგაზრდა გამომსვლელთა გამოჩენა, წარმოდგენილი მოხსენებების მაღალი მეცნიერული დონე... ეგ არის, წინანდებურად ვეღარ მოიწვიეს უცხოელ კოლეგებს, ვეღარ მოაწყობ მონაწილეთა ორგანიზებულ ასვლას მთაწმინდაზე ილია ვეკუას საფლავის მოსანახულებლად, ვეღარ გამოსცემ სემინარის შრომების კრებულს; რას იზამ, ქვეყანაში შექმნილი საშინელი მდგომარეობა ყველაფერზე „ტყდება"...

— ამ შესანიშნავმა ღონისძიებამ თავიდანვე ფართო მასშტაბები მიიღო. მეცნიერები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან ჩამოდიოდნენ, იბეჭდებოდა წაკითხული მოხსენებების კრებულები. სამწუხაროდ, ბოლო წლებში სხდომების „გაფართოების" მასშტაბები დაიკარგა; და მაინც, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ ყველაფერს იღონებს წლევანდელი მოხსენებების გამოსაცემად, — გვითხრა პირველი სექციის ხელმძღვანელმა, „მათემატიკური ილიადის" ვეტერანმა პროფესორმა გიორგი მანჯავიძემ. სხვათა შორის ამ თვალსაჩინო მათემატიკოსსა და პედაგოგს მალე 70 წელი შეუსრულდება. დასკვნით სხდომაზე გამოითქვა აზრი (რომელიც დამსწრეებმა უმალვე აიტაცეს), რომ ბატონ გიორგის პატივსაცემად მისი მრავალფეროვანი კვლევითი მათემატიკის გარშემო მოეწყოს მათემატიკური პროფილის ინსტიტუტების სამეცნიერო სესია.

თამაზ ებანოიძე.

ჯერ გაჩეხს, ახლა რგავენ...

ძნელი და მძიმე ზამთარი გამოიარეს გორელებმა. უშუქობამ და უგაზობამ თავისი კვალი დაატყო ლტოლვილებიან ქალაქს.

სითბოს დანატრულებული გორელები ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ხერხებითა და ნაჯახებით გამოვიდნენ ქუჩებში და ქალაქის მწვანე ნარგაობას დაადგეს თვალი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამართალდამცავი, ეკოლოგიური სამსახურების, საზოგადოებრიობის მხარდაჭერით თუმცა ძირითადად შეძლო ქალაქის მწვანე სამოსელის შენარჩუნება, მაგრამ მაინც ასობით ზრდასრული ხე გაიჩეხა ცენტრალურ ქუჩებსა თუ ახალ დასახლებებში. განსაკუთრებით კი კილომეტრნახევრიან დავით აღმაშენებლის გამზირზე, სადაც შუა გაზონის მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა უზარმაზარი ჭადრები და ზაფხულის ხვატშიც სასიამოვნო მიკროკლიმატს ქმნიდა.

ქალაქის გამგეობამ გაჩეხილ ქუჩებსა და სკვერებში მწვანე საფარის აღდგენა გადაწყვიტა და საქმე სწორედ დავით აღმაშენებლის გამზირით დაიწყო.

ახლახან გამზირს ავტომანქანებითა და ტექნიკით მიადგნენ რაიონის სახელმწიფო მეურნეობებისა და აგროფირმების მშრომელები, მთლიანად დაბარეს და გაასუფთავეს გაზონები, გაიტანეს ნაგავი.

საგზაო გამწვანების გორის სანერგე მეურნეობის მუშებმა კი გამზირის გაყოლებაზე დარგეს ასობით ცაცხვი და თეთრყვავილა გვირილა.

ამ დღეებში განახლდება მწვანე საფარი. სტალინის გამზირზეც, სადაც დაირგვება წითელყვავილა წაბლის ხეები.

გურამ ვაშაკიძე.

კეთილი სიტყვა

ნამდვილი სახალხო მკურნალი!

მინდა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ იმ ფენომენალურ კაცზე, მისი სახელი და გვარი საქართველოში თითქმის ყველასთვის ცნობილია. ეს გახლავთ ბიჭიკო ასკურავა, ჭეშმარიტად სახალხო მკურნალი, რომლის სასწაულმოქმედი მეთოდი საკუთარ თავზე გამოვცადე.

ჩემდა საუბედუროდ, წავიქეცი და ხელი მოვიტეხე. გამახსენდა გვარი — ასკურავა და, რაღა თქმა უნდა, მას მივმართე: დანახვისთანავე დამყარდა ნდობა ჩემსა და მკურნალს შორის. მომხიბლა იმ სითბომ, რომელსაც ეს საოცარი ადამიანი აფრქვევს თავისი პაციენტების მიმართ. სულ რამდენჯერმე დამადო ჯადოსნური მალამო და ხელი შემიხორცდა. პროცედურების დროს ვაკვირდებოდი, რა სიყვარულითა და ალერსით ხვდებოდა მკურნალი თავის პატარა პაციენტებს. მე იქ არ მსმენია ტირილი, არც ცრემლი დამინახავს, სასწაული კი — რამდენიც გნებავთ! დილიდან დაღამებამდე ფეხზე დგას ეს დაუღალავი, კეთილი კაცი, დაზიანებულ სხეულს უმტკივნეულოდ ურჩენს ხალხს, უბრუნებს მათ სიცოცხლის უნარს.

მოდით, ჩვენც მოვეფეროთ მას, ასეთები ხომ არც თუ ისე ბევრია!

თამარ თარხნიშვილი,
რუსთაველის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

ხსოვნა

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული შემოქმედი და მოქალაქე, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ამაყად და შეურცხვენლად ატარა ქართველი მწერლის საპატიო სახელი.

თეიმურაზ მაღლაფერიძე დაიბადა 1936 წლის 21 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში. იგი ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც სამწერლო სარბიელზე სამოციანი წლების დასაწყისში გამოვიდა. მისმა პირველივე ვრცელმა მოთხრობამ „უზბა", რომელიც 1968 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში", მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება მიიპყრო და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად. ითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში". მოთხრობის მოტივების მიხედვით მწერალმა შექმნა კინოსცენარი, რომლის მიხედვითაც კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცისკრის ზარები".

წარმატებული დებიუტის შემდეგ თეიმურაზ მაღლაფერიძემ აქტიურად განაგრძო შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი ნაწარმოებები — რომანები, მოთხრობები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, ამ თხზულებებში კიდევ უფრო გამოიკვეთა და დაიხვეწა მწერლის ხელწერა, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მისი ორიგინალური და თავისთავადი მსოფლგანცდა.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თეიმურაზ მაღლაფერიძის ისეთ რომანებს, როგორიცაა „წყურვილი", „გაულ გავხე", „ცხრაკარა". ფართო იყო ამ რომანების ავტორის თვალსაწიერი.

თეიმურაზ მაღლაფერიძემ ჩინებულად თარგმნა ქართულად მაქსიმ გორკის „არტამონოვების საქმე" და აკუტაგავა რიუნოსკეს „ცხოვრება იდიოტისა".

მისი კინოსცენარების მიხედვით არაერთი საინტერესო მხატვრული ფილმი გადაიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" — „ანარეკლი", „ესკულაპის მოწაფე", „მალე გაზაფხული მოვა"...

თუიმურაზ მაღლაფერიძე ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1976 წელს მონოგრაფიისათვის „ინტელიგენტთა სახეები უახლეს ქართულ პროზაში" მას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა. იგი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საყვარელი პედაგოგი და აღმზრდელი იყო. სამწუხაროდ, აღარ დასცალდა უკვე გამზადებული სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

კაცთმოყვარეობა, სიკეთე, კეთილსინდისიერება, პრინციპულობა და უკომპრომისობა გამოარჩევდა მას მუდამ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაზეთ „კავკასიონის" სალიტერატურო ნაწილს რედაქტორობდა და გულით ახარებდა ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლების ფართოდ წარმოჩენა ამ გაზეთის ფურცლებზე.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ სამშობლოზე, მშობელ ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული შესანიშნავი შემოქმედი, ჩინებული მოქალაქე და პიროვნება.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

მამუკა თენგიზის ძე გველესიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ჭირისუფალთ.

საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის „1994 წლის წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ ვეტერანთა საბჭოებს დაავალა აქტიური დახმარება გაუწიონ სამხედრო კომისარიატებს სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. სასწავლო დაწესებულებაში, წვევამდელების სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოაწყონ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შეხვედრები წვევამდელებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილებზე შექმნილი შტაბებისა და საინიციატივო ჯგუფების მუშაობაში.

მოახლოებული გამარჯვების დღესთან — 9 მაისთან დაკავშირებით საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ ვეტერანთა ორგანიზაციებს რეკომენდაცია მისცა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით საზეიმოდ აღნიშნონ ეს დღესასწაული. ამ თარიღისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართოს რაიონის (ქალაქის) აქტივისა და ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყოს ომის მონაწილეთა შეძლებისდაგვარად დასაჩუქრება, გარდაცვლილ ომის მონაწილეთა საფლავებზე გასვლა.

რესპუბლიკის ვეტერანთა საბჭომ სოფლად მცხოვრებ ვეტერანებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

სპორტი

ძალოსნობა

საბურთალოს რაიონის გამგეობისა (გივი რუხაძე) და სპორტკომიტეტის (ვახტანგ ჯინჭარაძე) ინიციატივით გამართულ მძლეოსნურ ამანათრბენში მონაწილეობა მიიღო საშუალო სკოლების, ლიცეუმების, უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების 8 ვაჟითა და 2 გოგონათი დაკომპლექტებულმა 13 გუნდმა (მთავარი მსაჯი — ეროვნული კატეგორიის არბიტრი ნუხა გაგოშიძე)

ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისიდან მეტრო „დელისამდე" 10 ეტაპის ფინიშთან პირველები მივიდნენ 1 ჯგუფში — 64-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ 162-ე და 61-ე საშუალო სკოლების მძლეოსნები. 2-ე ჯგუფში იმარჯვეს საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯის, აგრარული უნივერსიტეტისა და მე-18 ლიცეუმის სპორტსმენებმა. საერთო გუნდური ჩათვლა: I. 64-ე საშუალო სკოლა, II. 162-ე საშუალო სკოლა, III. საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი.

გამარჯვებულ გუნდებს გარდამავალი თასები და ფულადი პრემიები — 50 ათასი კუპონი თითოეულს გადასცეს ქალაქის მუნიციპალიტეტის პრემიერის, საბურთალოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარისა და საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილეებმა — შალვა ობგაიძემ, თამაზ კალმახელიძემ და ოთარ პაპავაძემ.

გზა დაელოცოს

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა ქვეყნის საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტის საქმეთა ასოციაცია (პრეზიდენტი — რესპუბლიკის საშუალო-სპეციალური სასწავლებლების მეთოდკომისიის თავმჯდომარე ნუხა გაგოშიძე).

იგი თავის საქმიანობას სპორტში წარმართავს საქართველოს განათლების სამინისტროსთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტთან და სპორტის ცალკეულ სახეობათა ფედერაციებთან მჭიდრო კავშირში.

ასოციაციის მთავარი ამოცანაა მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური აღზრდისა და ფიზკულტურულ-სპორტული მასობრივი მუშაობის ფართო გაშლა, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შეჯიბრებების გამართვა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

მოკლედ...

ფეხბურთი. ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის VIII ტურის მატჩების შედეგები: „მარგვეთი" — „დინამო" 0:3, „დილა" — „შევარდენი" 3:1, „კოლხეთი" — „ბათუმი" 2:1 (ფოთის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო ეს შეხვედრა აბაშაში გაიმართა), „ივერია" — „სამტრედია" 1:1. გადაიდო „გურია" —„ტორპედოს" შეხვედრა.

30 აპრილს თბილისში ითამაშებენ ლიდერები — „დინამო" — და „კოლხეთი".

კრივი. რუსეთის პროფესიონალთა ჩემპიონატი. 71 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება თბილისში დასახლებულმა სპორტსმენმა თემურ კეკელიძემ (მწვრთნელი — სსრკ ხალხთა 111 სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი ნოდარ ქიქავა).

მალე თ. კეკელიძე საფრანგეთსა და დანიაში პროფესიონალ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირებზე იასპარეზებს.

ხელბურთი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. გუნდების სატურნირო მდგომარეობა ფინალური ეტაპის მეორე ტურის შემდეგ: „შევარდენი"-28, „ამირანი"-27, „მამული"-23, „ორბი"-12, სამტრედიის „ახალა"-8 და ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები (გამოდის უკონკურსოდ) — 1 ქულა.

ფინალური ეტაპის მესამე ტური 9 მაისს თბილისში დაიწყება.

სისხლი და ცრემლი

გია გულუას, ზურაბ კვიცინაძის, ემზარ ბახტაძისა და თამაზ რუხაიას მკვლელობამ თავზარი დასცა ყველა პატიოსან ადამიანს და არა მარტო მათ

საზოგადოებრიობამ იცის, 20 აპრილს, დილით, ნუცუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონში შეიარაღებული მკვლელები რა მუხანათურად და არაადამიანურად გაუსწორდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლიციის გენერალ-მაიორ გია გულუას, მაიორ ზურაბ კვიცინაძესა და სერჟანტ ემზარ ბახტაძეს. უზომო იყო ჩვენი მწუხარება და სასოწარკვეთა... ყველას გვეგონა, კარგა ხანს აღარ გავახსენდებოდით სიკვდილის „მეუფეს", მაგრამ შევცდით. მეორე დღესვე, 21 აპრილს, არანაკლებ საზარელი ამბავი შევიტყვეთ: ოზურგეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაჭრეს. იმედი გვქონდა, ბიჭებს ღმერთი გადმოხედავდა, ჭრილობებს მოიშუშებდნენ და კვლავ დაუბრუნდებოდნენ სამსახურს, მეუღლეს, მშობლებს. საუბედუროდ, არსთა გამრიგე ამჯერადაც მკაცრი და ულმობელი იყო. 36 წლის დევივით ვაჟკაცი, პატიოსნებით, ღირსებითა და სიცოცხლით სავსე ადამიანი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი თამაზ რუხაია უმძიმესი ჭრილობებისაგან მეორე დღეს, განთიადისას, გარდაიცვალა...

გურიის რეგიონში განხორციელებულმა დიდმა ოპერაციამ დაასუსტა, მაგრამ ბოლო ვერ მოუღო დანაშაულებრივი სამყაროს პარპაშს. წლობით დაუსჯელად მოთარეშე ყაჩაღ-მკვლელები დაჭრილი მგლებივით სიცოცხლისუნარიანი, სასტიკი და აგრესიული აღმოჩნდნენ. სულ ცოტა ხანი დასჭირდათ გონს მოსასვლელად, ჭრილობების მოსაშუშებლად. მალე კვლავ გამოძვრნენ ბუნაგებიდან და ბინძური საქმიანობა გააგრძელეს.

ამიტომაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გურიის რეგიონში გამოცდილი ოპერმუშაკებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი მიავლინეს. ოზურგეთში საგანგებო რეგიონალური შტაბიც ჩამოაყალიბეს.

თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო.

შტაბს გამოცდილი ოპერმუშაკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი უშანგი მგელაძე ხელმძღვანელობს. ის თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თითოეული თანამშრომლის სიცოცხლეს; დღე-ღამეს ასწორებდნენ, ერთ ოპერაციას ასჯერ სწონიდნენ და ზომავდნენ, მაგრამ ულმობელ ბედისწერას, ეტყობა, მართლაც, ვერავინ ვერ გაექცევა.

ცნობისათვის: წლეულს, სამი თვის განმავლობაში, ოზურგეთში 105 სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული მოხდა, მათ შორის 10 მკვლელობისა და 20 ყაჩაღობის შემთხვევა იყო.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა ლანჩხუთსაც არ ჰქონდა. აქ 12 ყაჩაღობისა და ხუთი მკვლელობის შემთხვევა დაფიქსირდა.

დასაფიქრებელი ისიც არის, რომ რიგით მოქალაქეებზე უკეთეს დღეში პოლიციელებიც არ იყვნენ.

ამ დროის განმავლობაში გურიის რეგიონში რვა თანამშრომელი მოკლეს, 11 კი მძიმედ დაჭრეს...

თამაზ რუხაია ამ საბედისწერო სიაში მეცხრეა, ლეიტენანტი ალექსი მახათაძე კი — მეთორმეტე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონალური შტაბი სულ ორი კვირის ჩამოყალიბებული იყო და უკვე რამდენიმე მკვლელობა-ყაჩაღობის გახსნა მოასწრეს. ადგილობრივი პოლიციის უსუსურობით გულგატეხილი მოსახლეობა იმედის თვალით შეჰყურებდა „თბილისელ ბიჭებს".

გურულებს ახსოვთ, შარშან, 4 დეკემბერს, ქაქუთი-ოზურგეთის გზაზე მომხდარი ტრაგედია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთულ ტრაქტორს, რომელსაც მურად ბეჟანიძე მართავდა, ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები დახვდნენ და გაიტაცეს.

დაზარალებული პოლიციაში მივიდა.

სასწრაფოდ შექმნილი ოპერჯგუფი ყაჩაღებს დაედევნა. დამნაშავეებმა ცეცხლი გაუხსნეს მათ. მურად ბეჟანიძე მოკლეს, პოლიციელები დ. ბოლქვაძე, ნ. ნიკოლაიშვილი, ა. ხაბულიანი და გ. ნიკოლაიშვილი კი მძიმედ დაჭრეს.

17 აპრილს მკვლელების აღსასრულიც მოვიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოსა და ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ ჭანიეთში ერთობლივი ოპერაცია განახორციელეს. ახალგაზრდა, 20-24 წლის ყაჩაღებს — ავთანდილ ლომჯარიას, ზაზა შავიშვილს, გრიგოლ გულბანს, კონსტანტინე თავაძესა და გრიგოლ ხომერიკს, სწორედ ხსენებული უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

21 აპრილი მშვიდობიანი ჩანდა. ბიჭებმა, ჩვეულებრივ, დავალება მიიღეს და სოფელ ოზურგეთის გასასვლელში თავისი გზით მიდიოდნენ. უცებ უცნობმა „ჟიგულმა" გზა გადაუჭრათ... ავტომანქანის მგზავრებმა რეგიონული შტაბის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს, რა დროსაც თამაზ რუხაია და ალექსი მახათაძე დაიჭრნენ. საღ-სალამათად დარჩენილი თანამშრომლები არ შედრკნენ და სროლას სროლითვე უპასუხეს. ვაჟკაცობა უნდა შევუქოთ პოლიციის უფროს ლეიტენანტ შოთა ბესელიას და პოლიციის კაპიტან ჰამლეტ სუთიძეს. მათი ელვისებური მოქმედება რომ არა, ვინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა მკვლელთა და პოლიციელთა უთანასწორო შერკინება.

საბოლოოდ, ბრძოლის ველზე ერთი თავდამსხმელი, ქალაქ ოზურგეთში ჩაუწერავად მცხოვრები, ადრე მრავალჯერ ნასამართლევი ზაზა თევდორაძე, მეტსახელად „ფირალა" დარჩა. ის სისხლისგან იცლებოდა, დანარჩენებმა თითქოს თავს უშველეს, მაგრამ დროებით.

იმ დღეს ამინდიც ბობოქრობდა. ელვა, ჭექა-ქუხილი, ქარბორბალა...

ვერტმფრენი, რომელსაც დაჭრილების დასახმარებლად თბილისიდან ერთი ცნობილი ქირურგი უნდა ჩაეყვანა ოზურგეთში, უამინდობის გამო ვერ გაფრინდა.

სანამ გამოიდარა, დაჭრილებს უკვე გაუკეთეს ოპერაცია, რის გამოც მათი ტრანსპორტირება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

საბედნიეროდ, ალექსი გადარჩა, თამაზმა კი სულ რამდენიმე საათიღა იცოცხლა...

ის ჩემი მეგობარი იყო.

კაცი გაჭირვებაში იცნობაო, ამბობენ; გურიის ოპერაციის დროს, სულ ერთად ვიყავით. მან თავი, უპირველეს ყოვლისა, სიმამაცით, პროფესიული დონით, სამართლიანობით და, რაც მთავარია, ჩვენს დროში ისე სანთლით საძებარი პატიოსნებით დამამახსოვრა.

სამინისტროში სამუშაო კაბინეტებიც ერთ ხანს გვერდიგვერდ გვქონდა. მაშინ სამეგრელოში არეულობა იყო. მოძმეთა სისხლისღვრით შეშფოთებულ მარტვილელ კაცს გული უკვდებოდა, შფოთავდა, ნაღვლობდა. საოცრად განათლებული იყო...

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ნუგზარ კოტორაშვილი: — თამაზი ორი წელია ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა. რა დავალება უნდა მიგეცა, არ შეესრულებინა. თითქოს, გული რაღაცას უგრძნობდაო, ოზურგეთში წასვლის წინ ჩემთან შემოვიდა. განცხადებები მაწერიაო, მითხრა, ხალხი პასუხის მოლოდინშია, მე ერთი თვე არ ვიქნები, ვინ იცის რა მოხდება და, იქნებ, თქვენ მიხედოთო.

ერთ ხანს მთელმა განყოფილებამ აფხაზეთში საომრად წასვლა გადავწყვიტეთ. ისე მოხდა, თამაზი მივლინებაში იყო და უმისოდ მოგვიწია გამგზავრება. რომ დავბრუნდით, უნდა გენახათ, რა დღე დაგვაწია. მერეც ვერ იოკებდა თავს. იქ ყოველდღე ხალხი იღუპება, ჩვენ რა ნამუსით ვართ აქო... თავს დამნაშავედ გრძნობდა.

სამინისტროს ყველა დიდი ოპერაციის აქტიური მონაწილე იყო. ხანდახან, ქეიფში, დაიჩივლებდა, ბედი არ მომცა ღმერთმა, შვილი არ გვიჩნდებაო. მეუღლე, მოხუცი მშობლები და ორი ძმა დარჩა. კაცი იყო და კაცურად მოკვდა...

ვიცე-პოლკოვნიკი თამაზ ცეცხლაშვილი: — ჩვენი მეგობრობა სენაკიდან დაიწყო. უნდა გენახათ, როგორ კულტურულად, უბრალოდ ხვდებოდა მოქალაქეებს, ასჯერ გაესაუბრებოდა, რამე რომ არ შეშლოდა. ამ ბოლო დროს, ოზურგეთშიც ერთად ვიყავით. ერთი, ადრე ორჯერ ნასამართლევი მოქალაქე რაღაც საქმეზე დავიჭირეთ. მასალების მოკვლევა თამაზს დაევალა. ორდღიანი მუშაობის შემდეგ, ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეჭვმიტანილს ეს კონკრეტული დანაშაული არ ჩაედინა და ამჯერად ალალ-მართალი იყო. ხელმძღვანელობაც დაარწმუნა თავისი მოკვლევის სისწორეში და დაპატიმრებული გაუშვეს. ამ უკანასკნელის ცოლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზედ პოლიციის შენობის წინ ლოცულობდა. სამართლიანი იყო თამაზი, მაგრამ უსამართლოდ მოექცნენ, მუხანათურად მოკლეს...

რაწამს მომხდარი ტრაგედიის შესახებ შეიტყვეს, განგაში გამოცხადდა; რეგიონალური შტაბისა და ოზურგეთის პოლიციის ყველა თანამშრომელი ფეხზე დადგა. ერთ-ერთ მკვლელს, ადრე მრავალჯერ ნასამართლევს, სოფელ ბოხვაურის მკვიდრს, 30 წლის რამაზ კობალავას ღამის სამ საათზე, ოზურგეთში, იზოლდა სკამკოჩაშვილის ბინაში მიაგნეს. ის დაჭრილი იყო და საავადმყოფოში მოყვანისთანავე გარდაიცვალა.

დილის რვა საათზე, სოფელ მელექედურის გზაზე, ის ავტომანქანაც იპოვეს (ი 5270 გრ), რომლითაც მკვლელები დათარეშობდნენ. „ჟიგულის" სალონში მესამე მოძალადის, ასევე ბოხვაურელი, 31 წლის თეიმურაზ ჭანიშვილის გვამი იყო.

ამჯერად მაინც რისთვის იძებნებოდა ოზურგეთელი ყაჩაღების ერთ-ერთი თავკაცი ზაზა თევდორაძე, მეტსახელად „ფირალა"?

გურიის ოპერაციის დროს, 28 თებერვალს მან პოლიციელი მ. ჯანჯღავა გამოასალმა სიცოცხლეს...

ზაურ მაკარაძე.

თუ გსურთ იმკურნალოთ მსოფლიოში სახელგანთქმულ თვალის მიკროქირურგიის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსში (ს. ფიოდოროვის ინსტიტუტი), მიმართეთ სამედიცინო ფირმა „ისიდა-92ჰ".

დიაგნოზის დადგენის შემდეგ, ფირმა უზრუნველყოფს თქვენს მოსკოვში გამგზავრებას და კლინიკასთან არსებულ კომფორტულ სასტუმროში დაბინავებას. ფირმის მომსახურებაში შედის აგრეთვე თბილისში დაბრუნება და შემდგომი სამედიცინო მეთვალყურეობა.

მისამართი: ქარვასლის შენობა, სიონის ქ. № 8; ტელ.: 72-31-45 — 11-დან 16 სთ-მდე (გარდა ორშაბათისა), 16 საათის შემდეგ დაგვირეკეთ — 23-20-29.

10 აპრილს მომპარეს საკუთარი ავტომანქანა. ვაცნობე ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. მათი ოპერატიული მუშაობის შედეგად მეორე დღესვე დამიბრუნეს მანქანა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებსა და უფროსს დავით უვარელაშვილს ასეთი ოპერატიული მუშაობისათვის.

მარიკა თორდია

სარემონტო-სამშენებლო ფირმა «მოდინახე»
ასრულებს შენობა-ნაგებობების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს.
ჩვენი მისამართია:
მიხეილ წინამძღვრიშვილის 123/1
(ყოფილი კლ. ცეტკინის ქუჩა)
ტელ: 96-80-99.

იყიდება

დიდუბეში ჩეხური პროექტის სამოთახიანი, გარემონტებული, პრივატიზებული ბინა 2 აივნით, ჩაშენებული 3 კარადით, ლოჯიით, სათავსოთი. ბინის გარშემო არის მწვანე ნარგავები. სიწყნარე, ახლოა სკოლა, საბავშვო ბაღი, მეტრო „დიდუბე".

ტელ: 35-05-53.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

ინდექსი